ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

## „ბავშვი დავბრიდეო, ასე თქვა პირდაპირ“




რუსთავში 29 წლის ბიძამ 12 წლის ძმისშვილი მოკლა გვ.7

## 7 თებერვლიდან

ქართული დეტექტივი

მაია ბურჭულაძე

**უფასო ბილეთი წარსულში**

**ორშაბათის სიზმარი**

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი




ორშაბათი, 11 თებერვალი, 2019 №34 (7889) ფასი: 60 თეთრი

# ცემა-ტყეპა ბელგიაში

### ქართველმა ემიგრანტებმა ერთმანეთს აფურთხეს და წიწაკის სპრეი შეასხეს




გვ.2






## „სააკაშვილმა ემიგრანტების დახმარებით საზოგადოების შეჯანჯღარება გადაწყვიტა“

მამუკა გამყრელიძე: „ხელისუფლება დამყაყებისკენ მიდის და ცვლილებებია საჭირო“



## ვახტანგ ძაბირაძე: „ბესელიას ჯგუფს ივანიშვილის გარეშე ძალიან გაუჭირდება“

გვ.3

## დეკანოზ გიორგი მამალაძეს ზიარების უფლება მისცეს

მეუფე გრიგოლი: „ციანიდის საქმე ეკლესიის თავზე დამოკლეს მახვილივით კიდია“



გვ.3

## გოჩა ბარნოვი: „სასულიერო სემინარიაში ცენზურაა, ლექტორებსა და სტუდენტებს გვითვალთვალებენ“

გვ.4



**სამართალი** გვ.7

### ეკა ბესელიას კადრები ბუბა ლომთათიძემ ერევნის ციხიდან აჭვირთა





### მატროსოვის ციხეში შოთა შანიძემ თვითმკვლელობა სცადა

### „11 წლის ბიჭი დაუჭერია და მიათრევდა სახლში“



რატომ დააკავეს კასპში 63 წლის მამაკაცი

ISSN 1987-9385

**6** ვენესუელის გარდამავალი ხელისუფლება აღიარების უკან წაღების პირობას დებს

**3** გადაიქცევა თუ არა საქართველო ახალ ყარაბაღად

**6** ვახტანგ მაისაია: „როკის გვირაბის ტვირთებისთვის გახსნა არ შეიძლება“

**5** გია აბაშიძე: „სააკაშვილმა საქართველოში შემოსვლა, შესაძლოა, არალეგალი მიგრანტების დახმარებით სცადოს“

# ცემა-ტყეპა ბელგიაში

## ქართველმა ემიგრანტებმა ერთმანეთს აფურთხეს და წიწაკის სპრეი შეასხეს

შორენა მარსაგიშვილი

ქართველებმა ევროპა კიდევ ერთხელ გააოცეს. ემიგრანტებმა, რომლებიც საქართველოდან დიდი ხნის წინ არიან წასული, ქართველობა არ დაკარგეს და ლიეჟის კონგრესის სასახლეში დიდი არეულობა მოაწყვეს.

ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ ბელგიაში კორცხელის გმირებიც გამოჩნდნენ. სადაც პოლიტიკაა, ეს კუნთმაგარი ბიჭებიც იქ არიან. ადრე თუ მხოლოდ საქართველოს მასშტაბებით მოქმედებდნენ, ვიზალიბერალიზაციის შემდეგ ევროპაშიც შეუძლიათ განავარდება.





გუშინ, 10 თებერვალს, საქართველოს ყურადღება ბელგიის ქალაქ ლიეჟისკენ იყო მიმართული, სადაც ქართველმა ემიგრანტებმა საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერი შეკრება გამართეს.

ეს თავყრილობა სააკაშვილმა რამდენიმე კვირის წინ დააანონსა.

წესითა და რიგით, ლიეჟზე ძირითადად ნაციონალები უნდა ყოფილიყვნენ კონცენტრირებული, მაგრამ მათზე მეტი ინტერესი გამოიჩინეს მეოცნებეებმა. ისინი მთელი დღის განმავლობაში სოციალური ქსელებით წყევლიდნენ და აგინებდნენ სააკაშვილს.



სააკაშვილის პერიოდიდან მოყოლებული, ოპოზიციურად განწყობილთა თავყრილობებს ახლო მანძილიდან ზონდერები აკვირდებიან ხოლმე. ზონდერებად ძირითადად მოჭიდავეებს იყენებენ. ასეთი ზონდერები ყველა ხელისუფლებას ჰყავს. მეოცნებე ზონდერებმა ლიეჟშიც მოიყარეს თავი.

შეკრების ერთ-ერთი ორგანიზატორი გიორგი სიგუა რუსთავი 2-თან საუბარში აცხადებდა, რომ ხელისუფლებამ მათ წინააღმდეგ ზონდერების მობილიზება მოახდინა.

მისი თქმით, ლიეჟში მობილიზებული იყვნენ სპორტსმენები, მათ შორის მოჭიდავეები, რომელთა ნაწილს ის თავადაც იცნობს.

— მე ვიცი, რომ ადამიანებს სთხოვეს, მოეწყოთ აქ პროვოკაცია, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ პროვოკაციებს ადგილი არ ექნება. იმიტომ, რომ თუნდაც იმ მოჭიდავეებს, რომლებიც არიან ჩამოსული ან აპირებენ ჩამოსვლას, მე ძალიან კარგად ვიცნობ პირადად. ეს ადამიანები გვეხმარებოდნენ უსაფრთხოების დაცვაში ანაკლიაში ფესტივალზე.

მე ნამდვილად ვიცი, რომ აქ არიან სპორტსმენები, არა მარტო მოჭიდავეები, არამედ სხვა სპორტსმენებიც, რომლებიც, არ ვიცი, რაზე ფიქრობენ, როგორ ფიქრობენ და რის მოწყობას აპირებენ, თუმცა ნებისმიერი ექსცესი დაისჯება კანონის სრული სიმკაცრით. თქვენ ნახავთ აქ უპრეცედენტო უსაფრთხოების ზომებს. ერთ ადამიანს თმის ღერი რომ ჩამოუვარდეს ამ კრებაზე, ამას გადაჰყვება ბიძინა ივანიშვილი მთელი თავისი კლანიანად, — განაცხადა გიორგი სიგუამ.

მოჭიდავეების გარდა, ლიეჟში პოლიტიკოსების მობილიზებაც თვალშისაცემი იყო. ისინი იქ სააკაშვილის მხარდასაჭერად ჩავიდნენ.

ნიკა მაჭუტაძის განცხადებით, კულტურულ საზოგადოებას შეუძლია, კანონის ჩარჩოებში შეცვალოს პოლიტიკა.



— ქართულ ემიგრაციას აქვს განცდა, რომ მათი სამშობლო განსაცდელშია, — განაცხადა მოძრაობის „სახელმწიფო ხალხისთვის“ ლიდერმა ნიკა მაჭუტაძემ.

საქართველოს მესამე პრეზიდენტმა ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინ დააანონსა, რომ ემიგრანტებთან ერთად ალტერნატიულ მთავრობას შექმნიდა.

მაჭუტაძემ ჟურნალისტებს განუმარტა, როგორ წარმოუდგენიათ იდეის ავტორებს ალტერნატიული მთავრობის არსებობა.

— კულტურული საზოგადოება, რომელმაც მრავალი წლის განმავლობაში დაიცვა, შექმნა, განავითარა ქართული სახელმწიფო, მოახერხებს იმასაც, რომ ასევე კულტურულ ვითარებაში, კონსტიტუციური წესრიგის მიხედვით შეცვალოს ქართველი ხალხის ნების შესაბამისად თავისი პოლიტიკური წესრიგი ქვეყანაში.

საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს საარჩევნო პროცესს, ითვალისწინებს მანიფესტაციურ მეთოდს, ითვალისწინებს ყველა მეთოდს, რომლებიც შეგნებულმა და ცივილიზებულმა კაცობრიობამ გამოიმუშავა, რათა მოქალაქეები, პოლიტიკოსები აფიქსირებდნენ თავიანთ აზრს და თავიანთ პოლიტიკურ სიტყვას ამბობდნენ ისე, როგორც საჭიროა, — განუცხადა საზოგადოებრივ მაუწყებელს ნიკა მაჭუტაძემ.

შეხვედრის დაწყებამდე მან განაცხადა, რომ არ იცის, რა სამოქმედო გეგმა იქნება წარმოდგენილი, ამბობს, რომ, შესაძლოა, არსებობდეს ქუჩის აქციების დაწყების სურვილი, რაც კანონს არ ეწინააღმდეგება.

ლიეჟში გამოჩნდა დროებით გაუჩინარებული ნუგზარ წიკლაური, ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. ყოფილი დეპუტატის თქმით, ემიგრანტები შეიკრიბნენ იმიტომ, რომ დაიბრუნონ საქართველო და სამშობლოში დაბრუნდნენ.

წიკლაურმა ლიეჟის თავყრილობას ჯერ კიდევ მის დაწყებამდე მიანიჭა ისტორიულის სტატუსი.

— რაც აქ ხდება, არის ისტორიული მნიშვნელობის, როგორც პატრიოტული შინაარსის, ასევე მასშტაბის. უცხოეთში მცხოვრები ქართველები ამ რაოდენობით ევროპის შუაგულში არასოდეს შეკრებილან.



რაც შეეხება მეორე და უმთავრეს საკითხს, ყველამ კარგად იცის, რომ მილიონი ადამიანია გამოდევნილი საქართველოდან ეკონომიკური კოლაფსისა და ასევე პოლიტიკური ტერორის გამო, რაც ბოლო წლებში იქ არის. ეს ადამიანები იკრიბებიან დღეს აქ, რათა თქვან, რომ მათი სურვილია, დაბრუნდნენ საქართველოში და დაიბრუნონ საქართველო. ეს იქნება მსჯელობის თემა, — აღნიშნა საზოგადოებრივ მაუწყებელთან საუბარში ნუგზარ წიკლაურმა.

ლიეჟში შეხვედრაზე დასასწრებად სააკაშვილის მოწინააღმდეგეებიც ჩავიდნენ. მათ შორის იყო ჟურნალისტი შალვა რამიშვილიც. ის ემიგრანტებმა შეხვედრაზე არ დაუშვეს.

თავყრილობის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ლიეჟში დათა ახალაია და გია უდესიანი დააკავეს. ქოცების სიხარული და ნაცების გმინვა ნაადრევი აღმოჩნდა — ორივე მათგანი თავისუფალია.

თავყრილობის ორგანიზატორების დაპირების მიუხედავად, შეხვედრამ ინციდენტების გარეშე ვერ ჩაიარა.

ნაცმოძრაობის მხარდამჭერებმა მოქალაქეების ნაწილი შეხვედრაზე არ შეუშვეს. ამას ფიზიკური დაპირისპირება მოჰყვა. ქართველებმა ერთმანეთს ქართველობაც აგინეს და წიწაკის სპრეიც გამოიყენეს.

ლიეჟის კონგრესის სასახლე ქართველებს მხოლოდ წიწაკის სპრეით არ გაუოცებიათ. იქ ქართველი ქალებიც შეიბნენ.

კერძოდ, შეკრებაზე მისულმა ქალებმა ერთმანეთს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და აფურთხეს.

ამ ინციდენტების გამო შეხვედრა დათქმულ დროზე გვიან დაიწყო. დარბაზში შეკრებილები სააკაშვილის გამოჩენას წივილ-კივილით შეხვდნენ. ყველა ცდილობდა, სააკაშვილი დაეკოცნა და მისთვის თბილი სიტყვა ეთქვა. მესამე პრეზიდენტი ამ წიოკს ბედნიერი სახით შეჰყურებდა.

ლიეჟში მედიასაშუალებებმა „ქართული ოცნების“ კოორდინატორებიც დააფიქსირეს. ისინი ბელგიაში რამდენიმე დღის წინ ჩავიდნენ და სასტუმროში დაბანაკებულ ქართველებს აღრიცხავდნენ.

რუსთავი 2-ის ინფორმაციით, აგრესიული ადამიანების ჯგუფმა სხდომათა დარბაზში შესვლა და შეხვედრის ჩაშლა ცადა.

კონგრესის სასახლეში სააკაშვილის საწინააღმდეგო პლაკატებით მისული ადამიანები რეგისტრაციის გავლას ცდილობდნენ. რეგისტრატორებმა მათ სთხოვეს, ეჩვენებინათ პლაკატები, რომელთა შეტანასაც აპირებდნენ დარბაზში. მათ უარი თქვეს პლაკატების ჩვენებაზე, რასაც შეხლა-შემოხლა მოჰყვა.

პირებმა, რომლებიც დარბაზში შესვლას ცდილობდნენ, მედიასთან საკუთარი ვინაობის დასახელება არ ისურვეს.

— საქართველოდან ჩამოვედი, არავინ დამაფინანსა. ჩემი სახსრებით ჩამოვედი. შენი რა საქმეა, რა დამიჯდა, რატომ ჩაგაბარო აჩოტები. თქვენ რამდენს გიხდიან? რატომ არ გვიშვებენ, იქნებ რა კითხვა მაქვს. მე ვარ ქართველების მხარდამჭერი, იმიტომ, რომ ქართველი ვარ, — განუცხადა ერთ-ერთმა პირმა რუსთავი 2-ს.

შეხვედრაზე მისული ემიგრანტების ნაწილს კი არ დაუმალავს, რომ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერია.

— რა თქმა უნდა, ჩვენი მთავრობაა და რატომ არა ვარ დაპატიჟებული? ჩვენ პატივს ვცემთ ჩვენს არჩევანს, — განაცხადა ერთ-ერთმა პირმა.

ემიგრანტების შეხვედრაზე დასასწრებად ჩავიდა გრიგოლ ვაშაძეც, რომელსაც საზოგადოებრივი არხის ჟურნალისტთან კამათი მოუვიდა.



პირველი არხის ჟურნალისტის კითხვაზე, რომ ადგილზე მისულ განსხვავებული აზრის მქონე ემიგრანტებს ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერები დარბაზში შესვლის საშუალებას არ აძლევენ, გრიგოლ ვაშაძემ განაცხადა, რომ „ძალიან კარგს შვრებიან, თუ არ უშვებენ“.

— განსხვავებული აზრის გამო ჩავიდნენ ბიძინასთან. აქ მაინც დაგვალაპარაკეთ თავისუფლად, კაცო. ყელში ამოვიდა ეს თქვენი განსხვავებული აზრი. ეს პარტიული შეკრება არ არის, ეს არის პატრიოტების შეკრება, — განაცხადა გრიგოლ ვაშაძემ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევყრაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ბესელიას ჯგუფს ივანიშვილის გარეშე ძალიან გაუჭირდება“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო ვახტანგ, „ქართული ოცნება“ პარლამენტში უმრავლესობას შეინარჩუნებს?***

– თუ უმრავლესობაში იგულისხმება სამთავრობო უმრავლესობა, 76 მანდატი, რომლებიც მთავრობის დასამტკიცებლად არის საჭირო, მაშინ გარანტირებულად შემიძლია გითხრათ, რომ ასეთ უმრავლესობას „ქართული ოცნება“ შეინარჩუნებს. დანარჩენი დროის საკითხია, ვინ გადაწყვეტს და რას გადაწყვეტს და როგორ გადაწყვეტს, გამოიყენებს სასამართლოს თემას თუ არ გამოიყენებს.

ორი პროცესი მიდის პარალელურ რეჟიმში. ამიტომ, სასამართლოს თემა თუ არ იქნებოდა, იქნებოდა სხვა თემა.

***– რას გულისხმობთ?***

– იმას, რომ „ქართულ ოცნებაში“ ახლა მიდის გამოკვეთა იმ გუნდის, რომელიც 2020 წლის არჩევნებზე იქნება წამყვანი, რომელიც საარჩევნო სიას დააკომპლექტებს.

არის ნაწილი, რომლის ამ გუნდში მოხვედრის შანსი მინიმალურია. ამიტომ ამ ხალხის ნაწილი ამას გააპროტესტებს და შეეცდება, ეს ორი წელი პოლიტიკური ქულების ჩასაწერად გამოიყენოს და არის მეორე ნაწილი, რომელიც ასეთ პროტესტს ღიად არ გამოთქვამს და კულუარებში დაიწყებს ვაჭრობას, რათა გაარკვიოს მისი პოლიტიკური მომავალი. ეს ხალხი ჩუმად იქნება, რომც ვერაფერს მიაღწიოს და უმრავლესობის შემადგენლობაშიც იქამდე იქნება, სანამ ამის შესაძლებლობა ექნება.

***– მთელი ეს პროცესი სულ ეს არის?***

– ცხადია, არა, სასამართლო სისტემა, რაც თავი მახსოვს, ამ ქვეყანაში პრობლემაა. არ ყოფილა ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ეტაპი, რომ სასამართლოს მოსახლეობის მაღალი ნდობა ჰქონოდა. ამ რეიტინგის მოსამართლეების უვადოდ გამწესება კი ნიშნავს, რომ ეს შანსი საერთოდ უნდა გავუშვათ ხელიდან.

გოგიჩაიშვილმა, ბესელიამ და სხვებმა საკუთარ ტყავზე იწვნიეს ეს მოსამართლეები, ამიტომ, სულ არ არის გასაკვირი, თუ ეს ადამიანები საკუთარ ინტერესებს საზოგადოებრივ ინტერესებს დაამთხვევენ. ეს მათ პოლიტიკურ მოქნილობაზე მიუთითებს. ამიტომ არანაირი ცუდი ელფერი ამას არ დაჰკრავს.

***– სად არის ივანიშვილი მთელ ამ პროცესში?***

– ის ცდილობს უმრავლესობის შენარჩუნებას, რაც არცთუ მარტივი ამოცანაა, რადგან მის უპირობო ლიდერობას აღიარებს მხოლოდ ის, ვისაც ექნება 2020 წლის გარანტია.

***– გამორიცხავთ, რომ ივანიშვილი ცდილობდეს, სწორედ აქედან შექმნას მესამე ცენტრი?***

– ამ ქვეყანაში ვერაფერს გამორიცხავ, ვნახოთ, შეუძლებელია, რომ ეს არ დაეტყოს პროცესს, მით უფრო, ეს გამოჩნდება არჩევნების მოახლოებისთანავე.

მოსამართლეების საკითხი, ასე თუ ისე, ამოიწურება, ან ისე დასრულდება, ან ასე, მუდმივად ხომ ვერ გაგრძელდება. ამიტომ ამ გუნდს ახალი თემა დასჭირდება უკვე არჩევნებისთვის, მით უფრო, თუ პარტიის შექმნას აპირებენ, მათ აუცილებლად დასჭირდებათ დამატებითი იდეოლოგია. ვნახოთ, რა იქნება ეს იდეოლოგია.

მე მაინც ვფიქრობ, რომ პოლიტიკური სპექტაკლების დადგმა მარტივი არ არის.

***– რატომ?***

– ეტყობა ხოლმე. არ გამოდის ეს ვარიანტი. ამიტომ არაფერს გამოვრიცხავ, შეიძლება, ვიღაცას ამის დიდი სურვილი აქვს, მაგრამ, რამდენად რეალურია და რამდენად შეიძლება, ასე შეიქმნას მესამე პოლიტიკური ძალა, ეს მეეჭვება, მერწმუნეთ, კითხვები გაჩნდება.

***– ივანიშვილის ფაქტორი რომ გამოვრიცხოთ, თუ ამბოხებულები ცალკე გავლენ 2020 წლისთვის, რა შანსები ექნებათ?***

– ბევრ რამეზე იქნება ეს დამოკიდებული. ამ ადამიანებმა ხალხის მხარდაჭერა თავად უნდა მოიპოვონ ყოველგვარი ბიძინა ივანიშვილისა და მისი ფაქტორის გარეშე. ცალკე აღებული ეს პიროვნებები არცთუ მაღალი რეიტინგით გამოირჩევიან. მათ ბევრი რამის დამტკიცება მოუწევთ.

დღეს „ქართულ ოცნებაში“ დიდი ნდობითა და რეიტინგით არავინ გამოირჩევა, ცხადია,



ივანიშვილს არ ვგულისხმობ. შეიძლება, ერთი ნაბიჯით ვიღაც ვიღაცაზე წინ იყოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის ლიდერია. ივანიშვილის შემდეგ ლიდერობა რომ იკისროს, ასეთი ფიგურა „ქართულ ოცნებაში“ არ ჩანს.

ამ ჯგუფს კი ბევრი პრობლემა ექნება. მათ ამის სერიოზული გაანალიზება მოუწევთ. იმის თქმა, რომ უალტერნატივო გზა ექნებათ, თუნდაც ჩაანაცვლონ „ევროპული საქართველო“ ან მოსახლეობაში მხარდაჭერას მარტივად მოიპოვებენ, არ შეიძლება, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე.

# გადაიქცევა თუ არა საქართველო ახალ ყარაბაღად



**ეთნიკური აზერბაიჯანელები მიხეილ ავაგიანის ძეგლის აღებას ითხოვენ, ეთნიკური სომხები – ჯალილ საფაროვის**



შორენა მარსაგიშვილი

მაშინ, როცა ერევანი და ბაქო ყარაბაღის საკითხის მოსაგვარებლად სერიოზულ ნაბიჯებს დგამენ, შეიძლება, სომხურ-აზერბაიჯანულმა კონფლიქტმა საქართველოში იფეთქოს, ამის მიზეზი კი 20 იანვარს ახალქალაქის რაიონის სოფელ ბუღაშენში სომხეთის ეროვნული გმირის, მიხეილ ავაგიანის ძეგლის გახსნა გახდეს.

ამ ძეგლთან დაკავშირებული პერიპეტიები ჩვენი მკითხველისთვის კარგად არის ცნობილი. მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ მიხეილ ავაგიანის ბატალიონი „კობრა“ აფხაზეთში ბაგრამიანის ბატალიონის შემადგენლობაში იბრძოდა. ეს ბატალიონი ქართველებს უმოწყალოდ უსწორდებოდა.

ამის მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლებამ არც კი შეიმჩნია საქართველოს ტერიტორიაზე სომხები ბოევიკის ძეგლის დადგმა. სამაგიეროდ, აზერბაიჯანის ხელისუფლებამ მოითხოვა განმარტებები. ოფიციალური ბაქო პროტესტს გამოთქვამს ყარაბაღის ომის გმირის ძეგლის აღმართვის გამო.

ოფიციალურმა თბილისმა ოფიციალური ბაქოს პროტესტიც გაატარა. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ ეთნიკურმა აზერბაიჯანელებმა თბილისში, პარლამენტის შენობის წინ საპროტესტო აქცია გამართეს.

საქართველოს პარლამენტის წევრი აზერ სულეიმანოვი ავაგიანის ძეგლის დადგმას საქართველოს წინააღმდეგ მოწყობილ პროვოკაციას უწოდებს.

– ახალქალაქში სეპარატისტის ძეგლის დადგმას ვაპროტესტებთ. ავაგიანი და ტატუნაშვილი-ოთხოზორიას მკვლელები ერთი და იგივე ხალხია. ჩვენ გვაჩვევენ სეპარატიზმს. ამას ვაპროტესტებთ მშვიდობიანად. გავაგრძელებთ პერმანენტულ პროტესტს მანამ, სანამ ამ ძეგლს არ აიღებენ, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ბენო კაზიმოვმა.

თბილისში გამართული საპროტესტო აქციის შესახებ კარგად იყვნენ ინფორმირებული საქართველოში მცხოვრები ეთნიკური სომხები. მათ პარალელური აქცია გამართეს ახალქალაქის რაიონის სოფელ ბუღაშენში. ავაგიანის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიიდან მათ მთელი სამყაროს გასაგონად განაცხადეს, რომ ბუღაშენი ამ ძეგლს არ შეელევა.

ცნობისათვის, ავაგიანი ამ სოფელში დაიბადა, თუმცა იქ დიდხანს არ უცხოვრია და 8 კლასის დამთავრების შემდეგ სომხეთში წავიდა. მიუხედავად იმისა, რომ მას ბუღაშენთან ბევრი არაფერი აკავშირებს, ბუღაშენელები მას სოფლის სიამაყედ მიიჩნევენ და ამბობენ, რომ დათმობა არ იქნება.

ავაგიანის მომხრეებმა საპროტესტო აქცია ბუღაშენში გუშინ, 10 თებერვალსაც გამართეს. აქციის მონაწილეებმა საქართველოს ხელისუფლებას მოთხოვნა წაუყენეს. ისინი სომხეთის ეროვნული გმირის ძეგლის აღებაზე უარს ამბობენ, სამაგიეროდ, აზერბაიჯანის ეროვნული გმირის – ჯალილ საფაროვის ძეგლის აღებას ითხოვენ კატეგორიულად.

ცნობისათვის, საფაროვის ძეგლი მარნეულის რაიონის სოფელ ლეჟებადინში დგას. საფაროვიც ყარაბაღის ომის გმირია, ოღონდ აზერბაიჯანელების გმირი.

ავაგიანის მსგავსად, საფაროვიც ყარაბაღის კონფლიქტის დროს, 1992 წელს დაიღუპა. აზერბაიჯანული მედიის ცნობით, ის იმ დროს მოკლეს, როცა სატანკო ეკიპაჟის გადარჩენას ცდილობდა. აზერბაიჯანის პრეზიდენტმა საფაროვს აზერბაიჯანის ეროვნული გმირის წოდება იმ წელსვე მიანიჭა. ის დაკრძალულია ბაქოში, შეჰიდთა ხეივანში.

ჯალილ საფაროვი წარმოშობით მარნეულიდან იყო. ავაგიანის მსგავსად, არც მას უცხოვრია საქართველოში დიდხანს. ის აზერბაიჯანში მშობლებთან ერთად გადასახლდა.

იმედია, საქართველოს ხელისუფლება კარგად შეაფასებს არსებულ სიტუაციას. ყარაბაღის კონფლიქტის გამო ეთნიკურ სომხებსა და ეთნიკურ აზერბაიჯანელებს ერთმანეთთან ძალიან მძიმე დამოკიდებულება აქვთ, ამ ძეგლების გამო კი მათ შორის შეიძლება სერიოზული დაპირისპირება მოხდეს.

❖ ❖ ❖

ავაგიანისა და საფაროვის ძეგლები საქართველოში გასული წლის 90-იან წლებში დაიდგა, მაგრამ მაშინ მათ შესახებ არავინ იცოდა, რადგანაც ორივე გმირს მოკრძალებული პატივი მიაგეს.

„ოცნების“ ხელისუფლების მოსვლის შემდეგ კი რატომღაც გადაწყვიტეს, რომ უფრო დიდი პატივი უნდა მიეგოთ თავიანთი გმირებისთვის და ძეგლები და მონუმენტები აღმართეს.

საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ეთნიკური ოსები და აფხაზებიც მრავლად სახლობენ. ასე რომ, ყურადღებით ვიყოთ, სადმე შეიძლება ვლადისლავ არძინბასა და ტორეზ კულუმბეგოვის ძეგლიც იყოს აღმართული.

# დეკანოზ გიორგი მამალაძეს ზიარების უფლება მისცეს

## მეუფე გრიგოლი: „ციანიდის საქმე ეკლესიის თავზე დამოკლეს მახვილივით კიდია“

შორენა მარსაგიშვილი

გუშინ, 10 თებერვალს, დეკანოზ გიორგი მამალაძის დაკავებიდან 2 წელი გავიდა. 2 წლის განმავლობაში მამა გიორგის ზიარება არ მიუღია, არადა, დაკავებულმა რამდენჯერმე ითხოვა ზიარება.

დეკანოზ გიორგი მამალაძის ძმა, თორნიკე მამალაძე აცხადებს, რომ ვიღაცები დაინტერესებული არიან, მამა გიორგი ციხიდან არ გამოვიდეს.

ძმის გადასარჩენად თორნიკე მამალაძემ საპატრიარქოსთან წინა კვირას დაიწყო აქცია. საპატრიარქოს წინ თითქმის ერთი კვირაა დგას კარვები, მაგრამ საპატრიარქოდან დეკანოზის ახლობლებს არავინ შეხვედრია.

პატიმრობაში მყოფი დეკანოზის ახლობლებმა და მხარდამჭერებმა გუშინ, 10 თებერვალს, კიდევ ერთი აქცია გამართეს, სადაც თორნიკე მამალაძემ კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ მისი ძმის სიცოცხლეს საფრთხეშია.

ამ აქციამ რაღაც შედეგი მაინც გამოიღო. საპატრიარქომ, რომელიც მამა გიორგის ზიარების უფლებას არ აძლევდა, ეს აკრძალვა მოხსნა.

– დეკანოზ გიორგი მამალაძის ზიარების საკითხთან დაკავშირებით აკრძალვა მოხსნილია, – განუცხადა ჟურნალისტებს საპატრიარქოს პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ანდრია ჯალმაიძემ.

ზიარებასთან დაკავშირებით საპატრიარქომ ადრეც გააკეთა განცხადება, რაც საზოგადოების ნაწილმა მუქარად აღიქვა. ანდრია ჯალმაიძეს ამასთან დაკავშირებითაც მოუწია განმარტებების გაკეთებამ.

– განცხადებაში მკაფიოდ არის ნათქვამი, რომ გადაწყვეტილება მისი უწმინდესობის მიერ არის მიღებული. საუბარია იმაზე, რომ მღვდელმსახურს შეუძლია, აზიაროს. მღვდელმსახურში იგულისხმება როგორც მღვდელი, ასევე მღვდელმთავარი. ასე რომ, ამ განცხადებით ეს აკრძალვა არის მოხსნილი. რადგანაც მამა გიორგის ბრალეულობის გარშემო დამოკიდებულება არაერთმნიშვნელოვანია, ამიტომ თავად გადაწყვიტოს იმ სასულიერო პირმა ზიარების საკითხი.

რაც შეეხება იმ ნაწილს, სადაც პასუხისმგებლობაზეა საუბარი, ეს არის ჩვეულებრივი სულიერი პასუხისმგებლობა, რომელსაც ესა თუ ის სასულიერო პირი იღებს, როდესაც გადაწყვეტილებას იღებს, ვინ აზიაროს და ვინ – არა. საუბარი არ არის არანაირ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაზე. სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, რომ აქ აჟიოტაჟი ზედმეტადაა შემოტანილი, – ამბობს მამა ანდრია.



დეკანოზ გიორგი მამალაძესთან დაკავშირებით განცხადებები გააკეთეს მეუფე პეტრემ და მეუფე გრიგოლმა.

ორივე მათგანი ციხეში იყო შესული პატიმრობაში მყოფი დეკანოზის მოსანახულებლად. ციხიდან გამოსულმა ორივე მიტროპოლიტმა აღნიშნა, რომ მათ მამა გიორგისგან საოცრებები მოისმინეს.

მამა გიორგის დაკავების 2 წლისთავზე ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი, მეუფე გრიგოლი აცხადებს, რომ ციანიდის საქმე ეკლესიის თავზე დამოკლეს მახვილივით კიდია.

– ვწუხვარ, საერთოდ რომ ეს თემა ისევ დღის წესრიგში დგას, მაგრამ არის ასეთი მოცემულობა, ვნახოთ აწი. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ევროპულ სასამართლოშია გასაჩივრებული და იქიდან მივიღებთ პასუხს, რომელიც იქნება ერთგვარი შეფასება როგორც საზოგადოების, ისე ეკლესიის პოზიციის.

კითხვები, რა თქმა უნდა, არსებობს, მაგრამ ჩემი პოზიცია ამაზე მე არაერთხელ მაქვს ნათქვამი და მე ნამდვილად არ მინდა, ახლა კვლავ ამ თემაზე ვისაუბრო. ეს საქმე კვლავ, რომ იტყვიან, დამოკლეს მახვილივით არის ეკლესიის თავზე და ამაში მე ჩემს თავსაც ვგულისხმობ, ჩემს პირად პასუხისმგებლობას და იმედს გამოვთქვამ, რომ სიმართლე დადგინდება არა მხოლოდ ამ საქმის ირგვლივ, არამედ უფრო ფართო,დ რა მოხდა, დაწყებული იმ დღიდან, როცა ინფორმაცია გაასაჯაროვა იმჟამინდელმა პრემიერ-მინისტრმა, იმ დღემდე, როცა საბოლოო განაჩენი გამოიტანეს.

ბევრი რამ დატოვა, ხარვეზი, ლაქა, – აცხადებს მეუფე გრიგოლი.

ჭყონდიდელი მიტროპოლიტი კი ციანიდის სკანდალზე პასუხისმგებლობას ხელისუფლებას, პატრიარქსა და მის გარემოცვას აკისრებს.

– ზუსტად ორი წლისთავზე, ვიტყოდი, რომ ზუსტად ორი წელია, საუბედუროდ, საქართველოში გვყავს უდანაშაულო პატიმარი მღვდელი, აბსურდული, ცრუ ბრალდებით. პასუხისმგებლობას ვაკისრებ ხელისუფლების სამივე შტოს და ასევე, პასუხისმგებლობა ეკისრება კათოლიკოს-პატრიარქს მისი გარემოცვით, – ამბობს მეუფე პეტრე.

# გოჩა ბარნოვი: „სასულიერო სემინარიაში ცენზურაა, ლექტორებსა და სტუდენტებს გვითვალთვალებენ“

იაგო ნაცვლიშვილი

თეოლოგ გოჩა ბარნოვს, სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გადაწყვეტილებით, ლექციები შეუჩერეს. ამის შესახებ მან ფეისბუქის საკუთარ გვერდზე დაწერა. თეოლოგი ამ ყოველივეს უკავშირებს იმ ფაქტს, რომ ის საზღვარგარეთ უშვებს სტუდენტებს და მიიჩნევს, რომ საპატრიარქოს განათლებული და თავისუფლად მოაზროვნე მომავალი თაობის ეშინია.

გოჩა ბარნოვი ბოლო პერიოდში მწვავედ აკრიტიკებდა საპატრიარქოს იმის გამო, რომ მან არ დაუჭირა მხარი უკრაინის ავტოკეფალიას და რუსეთის საპატრიარქოს საგარეო განყოფილების ხელმძღვანელის მუქარას რბილად უპასუხა. მან ამ თემაზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუშიც ისაუბრა.

რა დაუსახელა სემინარიამ ლექციების შეჩერების მიზეზად, იზღუდება თუ არა განსხვავებული აზრი და აპირებს თუ არა ბრძოლას სამართლებრივი მეთოდებით? – ამის შესახებ გოჩა ბარნოვი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს.



„თუ საბოლოო გადაწყვეტილება ჩემთვის ლექციების შეჩერება იქნება, სამართლებრივ ბრძოლას გავაგრძელებ“

***– ბატონო გოჩა, რა დაგისახელეს იმის მიზეზად, რომ თქვენთვის ლექციები უნდა შეეჩერებინათ?***

– იცით, რაშია საქმე? რამდენიმე განცხადება გაავრცელეს და პოზიციები რამდენჯერმე შეცვალეს. ჯერ თქვეს, რომ ჩემ მიერ გამოთქმული შეფასებები შეიცავს პატრიარქის ლანძღვას. შემდეგ მათ ეს ვერ დაამტკიცეს, რადგან ეს იყო მათი ფანტაზიის ნაყოფი, რომ მე პატრიარქს ვლანძღავდი.

შემდეგ განცხადებაში უკვე ამოიღეს პატრიარქის ლანძღვა და დატოვეს განსხვავებული პოზიცია, თქვეს, რომ მე ვამბობ, რომ საქართველოს ეკლესიას პრორუსული პოზიცია აქვს. მე ამას ვამბობდი კონკრეტული შემთხვევებიდან გამომდინარე. მე გამოვთქვამდი ჩემს აზრს და ამის უფლება მაქვს. თუ დავინახავ, რომ რაღაცა არის პრორუსული, ეს ჩემთვის მიუღებელია. იმიტომ, რომ რუსეთი არის საქართველოს მტერი, ის არის ოკუპანტი, რომელსაც ოკუპირებული აქვს ჩვენი ტერიტორიები და ათასი უბედურების მომტანია. აქედან გამომდინარე, სიმპათიების გამოხატვა ნებისმიერი პიროვნების მხრიდან, რომელი დაწესებულებიდანაც არ უნდა იყოს ის, ჩემთვის მიუღებელია და ამის უფლება მაქვს. მაქვს უფლება, რომ გავაკრიტიკო.

შესაძლოა, ჩემი ტონი იყოს მკვახე, მაგრამ, რა ვქნა, ხდება ხოლმე ზოგჯერ ასეთი რაღაცები. ასეთი რაღაცებიც მომხდარა საზოგადოდ ისტორიაში.

მე ვთქვი, რომ ეს ყველაფერი ხდებოდა განსხვავებული აზრის გამო, ამიტომ შემდეგ ესეც ამოიღეს და ბოლო განცხადებაში სხვა რამე დაწერეს. ბოლო განცხადებაში ეწერა, ეს განსხვავებული აზრის გამო კი არ ხდებოდა, არამედ იმ ტონისა და იმ სიტყვების გამოა, რასაც ის იყენებს თავის განცხადებებსა და კომენტარებშიო.

არ ვიცი, სადამდე წავლენ. კიდევ რას უარყოფენ და რას დაამატებენ, არ ვიცი. აშკარად ეტყობათ, რომ ცვლიან პოზიციებს. ახლა მიზეზად დასახელებული აქვთ უკრაინის თემა და ჩემი გამონათქვამები ამ თემაზე, ანტირუსული და ა.შ.

***– აღნიშნეთ, რომ მათ დასახელებულ არგუმენტებში საუბარი იყო პატრიარქის ლანძღვაზე. რით გამოიხატებოდა პატრიარქის ლანძღვა?***

– უპირველეს ყოვლისა, უკრაინის ეკლესიაზე ჩემს მოსაზრებებში. მე ვთქვი, რომ საქართველოს ეკლესიამ აუცილებლად უნდა დაუჭიროს მხარი უკრაინის ავტოკეფალიას, მაგრამ პატრიარქი არსად მყავს ნახსენები. მე არც ერთ პიროვნებას არ ვახსენებ. შესაბამისად, პატრიარქის ლანძღვა ვერ იქნებოდა.

***– ნახსენებიც რომ იყოს, პატრიარქის კრიტიკა არ შეიძლება? ხომ არ ნიშნავს ეს პოზიციების გაკონტროლებას და ხომ არ არის ცენზურისკენ გადადგმული ნაბიჯი?***

– რა თქმა უნდა. ცენზურა რომ არის, ეს ფაქტია. ჩემთან მიმართებით ეს პირველი შემთხვევა არ არის. ადრეც როდესაც ვაკრიტიკებდი საპატრიარქოს, ეკლესიას ან, ვთქვათ, მოსკოვის პატრიარქს, ყოველთვის მიბარებდნენ და ყოველთვის მოჰქონდათ ჩემ მიერ გაკეთებული კომენტარები ამა თუ იმ მედიასაშუალებასთან, ან ფეისბუქის ჩემი გვერდიდან ამობეჭდილი პოსტები, ან კომენტარები.

ეს მასალები რექტორის კაბინეტში იდო. იყო ლექტორების გამუდმებული თვალთვალი.

უფრო მეტსაც გეტყვით, ლამის შტატიც აქვთ აკადემიაში. დავალებული აქვთ ვილაცებისთვის და ერთნი აკვირდებიან სტუდენტების კომენტარებს, მეორენი – ლექტორების კომენტარებს და ეს შემდეგ მიდის... საბოლოო ჯამში, სად მიდის, არ ვიცი, მაგრამ რამდენჯერმე დამიძახეს ამის გამო.

***– ახსენეთ, რომ მოსკოვის პატრიარქის კრიტიკის გამო დაგიბარეს რამდენიმეჯერ და ახსნა-განმარტება მოგთხოვეს. სემინარიაში რუსული გავლენებია?***

– მე ამ გავლენებზე საუბარი გამიჭირდება. ძალიან ხმამაღალი ნათქვამი რომ არ გამომივიდეს, ასეთი შეფასებისგან თავს შევიკავებ. მაგრამ, ზოგადად, როდესაც მოსკოვის პატრიარქს ვაკრიტიკებდი ან რუსეთის პოზიციას, იყო ხოლმე აშკარად არასასიამოვნო რეაქცია მათი მხრიდან.

***– ახლა რას აპირებთ?***

– ჯერჯერობით არაფერს. მაშინ, როდესაც დამირეკეს უცბად და მთხოვეს მისვლა ხუთშაბათ დღეს, არ მეცალა, რადგან, ამავე დროს, მე ვმუშაობ საბას უნივერსიტეტში თეოლოგიის დეკანის პოზიციაზე. გვქონდა შეხვედრები ახალ პროგრამასთან დაკავშირებით. ამიტომ, მე მათ ვუთხარი, რომ ხუთშაბათს ვერ მივიდოდი და მივიდოდი ორშაბათს, როდესაც ლექციების დღე მაქვს, რაზეც თანხმობა მივიღე. მაგრამ იქამდე ეს ყველაფერი მაინც გააფორმეს და ჩემი დასწრების გარეშე მოხდა ყველაფერი.

მაშინ, როდესაც დასვენების დღე იყო სასულიერო აკადემიაში, დაურეკეს საბჭოს წევრებს, რამდენიმე ადამიანმა თვითონ შეადგინა ტექსტი, რომელიც გამოაქვეყნეს და სთხოვეს საბჭოს, მათ მოეწერათ ხელი. ვიცი, რომ რამდენიმე ადამიანმა ხელმოწერაზე უარი თქვა, რადგან მათთვის მიუღებელი აღმოჩნდა ტექსტის შინაარსი.

***– ხომ არ აპირებთ სამართლებრივ ბრძოლას, რათა თქვენი უფლებები დაიცვათ?***

– ყველაფერი დამოკიდებული იქნება ორშაბათის შეხვედრაზე. მნიშვნელოვანია ის, რა მოხდება იქ და საბოლოოდ რა გადაწყვეტილება იქნება მიღებული.

***– ანუ თქვენთვის ლექციების ჩამორთმევის გადაწყვეტილებას თუ მიიღებენ, მზად ხართ, სამართლებრივად გააგრძელოთ ბრძოლა?***

– რა თქმა უნდა. მე არ ვაპირებ ამ სასწავლებლიდან წამოსვლას ჩემი ნებით. ასე ვთქვათ, თუკი ჩემ წინააღმდეგ რაიმე ძალის გამოყენება იქნება, მე ვაპირებ, სამართლებრივი გზით დავიწყო ფაქტზე რეაგირება.

# სერგი კაპანაძე: „გვრიტიშვილი ყოველთვის ხელისუფლების მორჩილი იქნება“

## „საპარლამენტო დელეგაციის აშშ-ში ვიზიტისას კრიტიკის მთავარი ობიექტი სასამართლო იყო“

იაგო ნაცვლიშვილი

იუსტიციის საბჭოს მოსამართლე წევრები გავლენების შესანარჩუნებლად ბოლომდე იბრძვიან. იუსტიციის საბჭოს მოსამართლე წევრის დიმიტრი გვრიტიშვილის გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ მათ სააკაშვილის დროინდელ გადმონაშთებსა და ანასხლეტებს უწოდებენ და მათ წარსულში დაბრუნებას ცდილობენ.

როგორ წარმოუდგენია სასამართლოს ირგვლივ განვითარებული მოვლენები და რა პასუხი აქვს გვრიტიშვილის განცხადებაზე, რომლის ერთ-ერთი ადრესატი მისი ფრაქციაც არის? – ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ პარლამენტის ვიცე-სპიკერს, „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთ ლიდერ სერგი კაპანაძეს ესაუბრა.

***– დიმიტრი გვრიტიშვილმა ბოლოს გავრცელებულ განცხადებაში თქვა, სააკაშვილის დროინდელ გადმონაშთებსა და ანასხლეტებს გვიწოდებენ და ცდილობენ წარსულში დაბრუნებასო. მათ შორის თქვენი ფრაქციაც ეწინააღმდეგება მათ უვადო გამწესებას და, ბუნებრივია, ამ განცხადების ადრესატი ხართ. რა პასუხი გაქვთ?***

– ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს ადამიანები წინა ხელისუფლების მიერ გამოყენებული ნამდვილად იყვნენ თავიანთი მიზნებისთვის, მაგრამ ასევე არიან გამოყენებული ამ ხელისუფლების მიერ.

როგორც ჩანს, პრაქტიკულად ნებისმიერი ბატონის დაკრულზე ცეკვას აპირებენ მომავალშიც. ამიტომ არ შეიძლება, რომ გამწესდნენ სასამართლოში სიცოცხლის ბოლომდე. შესაბამისად, იმისთვის, რომ სასამართლო იყოს დამოუკიდებელი, გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ ყველამ ერთად, რომ პირველ რიგში ეს უვადო გამწესება არ მოხდეს. შემდეგ უკვე, როდესაც ხელისუფლება შეიცვლება, ყველანი უნდა შევთანხმდეთ – პოლიტიკური კლასი, ოპოზიცია თუ პოზიცია – როგორი ტიპის მოსამართლეები გვჭირდება და ეს მოსამართლეები უნდა იყოს ისეთი ხალხი, რომელიც არავის მორჩილი არ არის. ეს არის ამოსავალი წერტილი.

გვრიტიშვილი არ შეიძლება, რომ არავის მორჩილი არ იყოს, იმიტომ, რომ აქამდე მისმა გამოცდილებამ, ისევე, როგორც მისი კლანის სხვა წევრების მოსამართლეთა გამოცდილებამ აჩვენა, რომ, პირიქით, ისინი ყველას მორჩილები არიან, ვინც ხელისუფლებაში იქნება. მზად არიან, ბოლომდე ითამაშონ მის მხარეს. ეს არის სრულიად მიუღებელი სასამართლოსთვის.

***– მათ ტონი რას ნიშნავს თქვენთვის? ღია ბრძოლა გამოგიცხადეს?***

– ეს არის აბსოლუტურად შეუფერებელი ტონი, პირველ რიგში, მოსამართლისთვის, მეორე რიგში, ზოგადად საჯარო მოხელისთვის. ეს დამოკიდებულება, რომელიც მათ გააჩნიათ, რომ „მე ვარ და ჩემი ნაბადი“... ის, რომ შეტევით თავი დაიცვან, სრულიად გაუმართლებელია. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რა ტერმინოლოგიასაც იყენებენ, აღარაფერს ვამბობ შეფასებებზე, რაც, უბრალოდ, სამარცხვინოა. ამაზე კომენტირება არასერიოზულია.

მესმის, რომ ამ ადამიანებისთვის განცდაა, რომ ისინი კარგავენ ყველაზე სანუკვარს, რაც გააჩნიათ – მანტიას. ახლა ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ეს შეინარჩუნონ. საბედნიეროდ, ეს ყველაფერი არ გამოუვათ. უბრალოდ, რა თქმა უნდა, ყველანაირად შეეცდებიან, რომ ბოლომდე დარჩნენ სასამართლოში.

როგორც ჩანს, ყველანი ვხვდებით, პირველ რიგში კი საზოგადოება, რომ ამის გაკეთება დამღუპველი იქნება მომავლისთვის. ოპოზიცია დიდი ხანია, ამ აზრზეა და ამ პოზიციაზეა ხელისუფლების ნაწილიც. იმედი მაქვს, რომ საღი აზრი გაიმარჯვებს და გვრიტიშვილის მსგავსი მოსამართლეები არ იქნებიან გამწესებული უვადო მოსამართლეებად.

***– თქვით, რომ პოლიტიკური კლასი უნდა შეთანხმდეს სასამართლოს მომავალზე, მაგრამ წამოვა „ქართული ოცნება“ ამაზე?***

– ეს კარგი კითხვაა, წამოვა თუ არა ამაზე „ქართული ოცნება“. მე არ ვარ დარწმუნებული, რომ ისინი ამ წუთას ამაზე წამოვლენ. „ქართული ოცნება“, საბოლოო ჯამში, დაელოდება იმას, ბიძინა ივანიშვილი რას იტყვის. თუ ჩვენ გავაგრძელებთ ამ პროცესს, იმის შანსი, რომ ეს ხალხი არ გავიდეს, არსებობს. მე ახლა არ ვიქნები ძალიან ოპტიმისტური, მაგრამ საჭიროა ახლა ბრძოლა და ბრძოლის შედეგად ამის მიღწევა შესაძლებელია.

***– ხომ არ ფიქრობთ, რომ გარკვეული კონსოლიდაცია საჭიროა საზოგადოებასთანაც?***



*ყველა ხელისუფლებას, ასე თუ ისე, ხალხის ეშინია.*

– ბუნებრივია. ეს ისეთი სისტემაა, რომელზეც არსებობს საერთო აზრი ხალხთან. მე მგონი, ასეთი ერთგვაროვანი აზრი არც ერთ სხვა თემაზე არ არის, როგორიც მოსამართლეების საკითხზეა. გნებავთ საზოგადოებაში, არასამთავრობოებში, პოლიტიკურ პარტიებში. ყველანი ერთ აზრზე ვართ. მათ შორის ჩვენი საერთაშორისო პარტნიორებიც საუბრობენ ამაზე პირდაპირ.

ახლა იყო ჩვენი საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტი აშშ-ში, სადაც მთავარი თემა და კრიტიკის ობიექტი სწორედ სასამართლო იყო. ღია კრიტიკის ობიექტი იყო. ყველა ხედავს, რომ ეს არ არის ის თემა, რომელზეც უნდა გადავუხვიოთ და კომპრომისები გვქონდეს.

***– არ გაქვთ ოპტიმისტური მოლოდინი, მაგრამ მაინც გგონიათ, რომ შესაძლებელია, პოზიცია დაათმობინოთ?***

– ეს ის შემთხვევაა, როდესაც ორმაგად მნიშვნელოვანია, ვიბრძოლოთ და ჩვენი პოზიცია ბოლომდე გავიტანოთ.

***– როგორ უნდა მოხდეს ისე, რომ, ერთი მხრივ, ეს ადამიანები არ იყვნენ სასამართლოში, ხოლო მეორე მხრივ არ მოხდეს პოლიტიკური ხელისუფლების ჩარევა სასამართლო ხელისუფლების საქმეებში. ამ ბალანსის დაცვას შესაძლებლად მიიჩნევთ?***

– რა თქმა უნდა, შესაძლებელია. ამისთვის არის საჭირო სწორი კრიტერიუმები, ამისთვის არის საჭირო ნომინირების სწორი პროცედურა, ასევე – ღია დისკუსია და დებატები პარლამენტში. ამისთვის არის საჭირო პარლამენტის მხრიდან ამ ვალდებულების საკუთარ თავზე აღება.

რა თქმა უნდა, შესაძლებელია. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად ქალბატონი ნაზი ჯანეზაშვილი პარლამენტის მიერ იქნა ნომინირებული. მას მხარი დაუჭირა ოპოზიციამ, ისევე, როგორც უმრავლესობის ნაწილმა. როგორც ვხედავთ, ჯანეზაშვილი ერთ-ერთი ხმალამოღებული მებრძოლია ამ უსამართლობის წინააღმდეგ. გვრიტიშვილისნაირი მოსამართლეების სამუდამო გამწესებას ეწინააღმდეგება. რა თქმა უნდა, შესაძლებელია. ამის მაგალითები გვაქვს.

***– მთავარ აქცენტს კრიტერიუმებზე აკეთებთ თუ რაზე?***

– არა. ერთობლიობაა მნიშვნელოვანი – კრიტერიუმები, ნომინირების პროცედურა, ის, რომ ასეთ ჯგუფებს არ ჰქონდეთ ვეტოს უფლება, წესები, რომ გადაწყვეტილება მაქსიმალურად იყოს კონსენსუალური.

ცალკე გამოვყოფდი პარლამენტის როლს, სადაც აუცილებელია მოსმენის პროცედურა, ღიაობა, სამუშაო ჯგუფის ისე დაკომპლექტება, რომ იქ ფართო წარმომადგენლობა ჰქონდეთ როგორც ოპოზიციას, ისე არასამთავრობო სექტორს.

აუცილებელია ამ მოსამართლეებთან ზედამხედველობის ისეთი პროცესის შემუშავება მოსამართლეების დანიშვნის საკითხთან დაკავშირებით, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებას, როგორ ადამიანს ვირჩევთ უზენაეს სასამართლოში.

ჯამში, ამის ერთობლიობა იძლევა იმის შანსს, რომ სასამართლო იყოს დეპოლიტიზებული, მოსამართლეები იყვნენ კარგად შერჩეული და მოსამართლეები არ იყვნენ არც ერთი პოლიტიკური ძალის დაქვემდებარებაში.

***– ხართ თუ არა მაქსიმალურად ფხიზლად იმისთვის, რომ ახალი მურუსიძე-ჩინჩალაძეები არ შემოგაპარონ სიაში?***

– რა თქმა უნდა. ეს არის ჩვენი ერთ-ერთი ამოცანა, რომ ასეთი ადამიანები არ გავიდნენ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ივანიშვილი შეეცდება, ბევრნაირად გამოიყენოს მდგომარეობა სათავისოდ, ცადოს იქ კონკრეტული ადამიანების ჩანაცვლება, რათა, ჯამში, მისთვის ერთგული ადამიანები იყვნენ.

ჩვენი ამოცანა სწორედ ეგ არის, რომ მაქსიმალურად შევეწინააღმდეგოთ და არ მივცეთ ამის საშუალება.

# „სააკაშვილმა ემიგრანტების დახმარებით საზოგადოების შეჯანჯღარება გადაწყვიტა“

## მამუკა გამყრელიძე: „ხელისუფლება დამყაყებისკენ მიდის და ცვლილებებია საჭირო“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მოძრაობის „ძალა ერთობაშია“ ერთ-ერთი ლიდერი მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

***– ბატონო მამუკა, მოძრაობის „ძალა ერთობაშია“ წევრები აქტიურად წერენ, რომ მოქმედების დროა. რა იგულისხმება ამაში და რამდენად მოდის თანხვედრაში მიხეილ სააკაშვილის ქმედებებთან?***

– გაერთიანებული ოპოზიცია, ძალა ერთობაშია, შეიკრიბა იმ მიზნით, რომ მოახდინოს ხალხის გაერთიანება. ყველა ადამიანმა უნდა გადალახოს თავისი ამბიციები, განსხვავებები შეხედულებებში და უკეთესი მომავლისთვის იბრძოლოს. ის დემოკრატიული პროცესი, რომელიც დაიწყო 2012 წელს, ხელისუფლების დემოკრატიული და მშვიდობიანი გზით გადაბარების, ასე უნდა გაგრძელდეს. მე არ მგონია, რომ სააკაშვილს ვინმესთან დაპირისპირება სურდეს.

***– კვლავ თვითონ უნდა ხელისუფლების გადაბარება?***

– ხელისუფლების გადაბარება რომ არ უნდოდეს პოლიტიკოსს, გასაკვირი იქნებოდა. რა თქმა უნდა, ის იბრძოლებს ხელისუფლებისათვის და ეს მისი ლეგიტიმური სურვილი და მოთხოვნაა.

მეორე საკითხია საზოგადოების გადაწყვეტილება, ვის მისცემენ ხმას და ვის აირჩევენ.

გაერთიანებულ ოპოზიციაში ჯერჯერობით კოლეგიალური გადაწყვეტილებების მიღება ხდება. თუ ეს შეიცვლება, მაშინ აქედან დაიწყებს გადინებას ხალხი. სააკაშვილს ეყოფა ჭკუა იმისთვის, რომ თავისკენ საბნის გადაქაჩვა არ დაიწყოს. ძალიან ძლიერი ფიგურაა პოლიტიკურად სააკაშვილი და არა მგონია, მან რაღაცა ზედმეტი მოინდომოს ან მოითხოვოს.

მას ყოველთვის ექნება ის რესპექტი და მხარდაჭერა ხალხისგან, რომელიც აქვს და რაც დაიმსახურა. ასევე ექნება უარყოფითი დამოკიდებულებაც საზოგადოების რაღაცა ნაწილისგან, ალბათ, ესეც დაიმსახურა. ძალიან ჭკვიანია. პოლიტიკური ცხოველის ინსტინქტები აქვს ამ ადამიანს, კარგი გაგებით.

***– რამდენად სწორი ნაბიჯი იყო ალტერნატიული მთავრობის დანიშვნა? ბევრი ოპოზიციონერი ლიდერი იყო ჩასული მასთან შესახვედრად, რა გზავნილები ჩამოიტანეს?***

– გია ვაშაძე იყო წასული. მე ჯერჯერობით არ შევხვედრივარ მას და არც სხვებს, ვინც იქ იმყოფებოდა.

ალტერნატიულ მთავრობები არ არის ახალი. ეს იდეა დიდი ხანია გაერთიანებულ ოპოზიციაშია, გასაკვირი ამაში არაფერია. ჩვენ ცოტა სხვა ფორმით გვინდა გავაკეთოთ – არა ალტერნატიული მთავრობის შექმნა, არამედ დაყოფა საზოგადოებრივი ცხოვრების, ეკონომიკის სხვადასხვა სეგმენტად და ამ სეგმენტებში პასუხისმგებლობის გადანაწილება, რაც მოგვცემს იმის საშუალებას, რომ გამოვავლინოთ ყველაზე ეფექტური ადამიანები სხვადასხვა მიმართულებით, თავიანთი უნარებით, ცოდნით და ასე შემდეგ, ხოლო ის, რომ დანიშნო მთავრობა და ამ მთავრობამ გამოიწვიოს ზედმეტი რყევები, სისულელე იქნება.

***– ოპოზიციონერი ლიდერები ბიძინას ეუბნებიან, მოგიწყობთ რევოლუციას, ჯარი, პოლიცია არავინ მხარს არ გიჭერსო. რამდენად არის ახალი რევოლუციისთვის მზადება თქვენს გაერთიანებაში?***

– მე მინდა, ძალიან მკვეთრად განვაცხადო, რომ ყველანაირი რევოლუციისგან თავს შევიკავებთ მეც და ჩემი მეგობრებიც. არანაირი წინაპირობა რევოლუციის არ არის და საერთოდ სისულელეა ამაზე ლაპარაკი. რა რევოლუცია, რომელი რევოლუცია, ჩვენ მშვიდად გვინდა რაღაცნაირად ხელისუფლების გადაბარების მიღება.

ხელისუფლების გადაბარებას კი ნამდვილად მოვითხოვთ. ეს დემოკრატიული პროცესია და ამ პროცესს სჭირდება გაგრძელება.

***– რამდენად ელოდებით, რომ დემოკრატიულ ჩარჩოებში განვითარდება ეს პროცესები?***

– აი ამას კი, სიმართლე გითხრათ, არ ველოდები.

***– სწორედ ამას მოჰყვება ხოლმე რევოლუციები.***

– აქ რევოლუციაზე კი არ არის ლაპარაკი, აქ საუბარია ხელისუფლების პროტესტზე. თუ არ მოხდება დემოკრატიული პროცესის გაგრძელება, თუ მივიღებთ ისეთ არასამართლიან არჩევნებს, როგორიც იყო წინა არჩევნები და ამას აღნიშნავს მთელი მსოფლიო და ყველა დამკვირვებელი, მაშინ საზოგადოების გადასაწყვეტია,



გამოხატავს ამაზე პროტესტს თუ არა.

რევოლუციას ოპოზიცია კი არ აწყობს, არამედ ხელისუფლება უწყობს საკუთარ თავს რევოლუციას. პირადად მე რევოლუციის წინააღმდეგი ვარ, თუმცა მას არ გამოვრიცხავ. ზოგადად არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება, მაგრამ არ მინდა. დემოკრატიულ ჩარჩოებში უნდა დარჩეს საქართველო, რომ საქართველოს იმიჯი გაძლიერდეს მსოფლიოში. უნდა აჩვენოს საქართველომ, რომ ჩვენ შეგვიძლია, ნორმალურად შევცვალოთ ხელისუფლება, მსოფლიომ დაგვინახოს, როგორც განვითარებული დემოკრატიის ქვეყანა.

***– ჩვენს ქვეყანაში როდესაც ხელისუფლებები იცვლება, დასავლეთის დიდი მხარდაჭერით მოდის ხოლმე ახალი ხელისუფლება. ბოლო პერიოდში სააკაშვილი ზედმეტად აქტიურია. რაიმე გარანტიები ხომ არ მიიღო მან დასავლეთისგან?***

– არ დაგეთანხმებოდით იმაში, რომ მხოლოდ დასავლეთის მხარდაჭერით მოდის ხელისუფლება. რუსეთის მხარდაჭერითაც ხდება ხელისუფლების ცვლილებები ჩვენს უახლეს ისტორიაში.

რა თქმა უნდა, ყველას ინტერესების გათვალისწინება ხდება, ისეთი გზაჯვარედინია საქართველო, რომ იკვეთება დასავლეთის, რუსეთისა და აღმოსავლეთის ინტერესებიც. ეს ინტერესები ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის. ვნახოთ, როგორი იქნება დასავლეთის დამოკიდებულება, როგორი იქნება რუსეთის ჩარევა ამ სიტუაციებში. მე, სამწუხაროდ, უფრო მძიმედ ვხედავ რუსეთის ჩარევას და ეს ძალიან არ მსიამოვნებს.

***– თავად სააკაშვილს რამდენად აქვს მხარდაჭერა, როდესაც ასე აქტიურობს?***

– იცით, როდესაც სააკაშვილზე მეკითხებიან, ჰგონიათ, რომ მე და სააკაშვილი ახლო მეგობრები ვართ. ასე ნამდვილად არ არის.

***– ორი დღეა, ვრცელდება ინფორმაცია, რომ საქართველოდან გატანილი ეროვნული საგანძური იყიდება საზღვარგარეთ, რომელიც სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს გაიტანეს და ამ თანხების მობილიზება ხდება სააკაშვილის მიერ. ამაზე რას იტყვით?***

– დიდი ბოდიში, მაპატიეთ და ძუძუს მოჭმის, საშვილოსნოს ამოჭრისა და აივანზე დაბმული მგლების სერიიდან გახლავთ ესეც.

***– აბა მხოლოდ ემიგრანტების იმედად არის?***

– არა მგონია, ემიგრანტების იმედად იყოს. ჩემი აზრით, მან გადაწყვიტა ემიგრანტების დახმარებით საზოგადოების შეჯანჯღარება. ჩვენი საზოგადოება აპათიაში წავიდა. თუმცა დიდხანს არ გაგრძელდება ასე. მალე დადგება არჩევნების ხანა და ჩვენ უნდა ვემზადოთ ამისათვის.

სააკაშვილმა დაინახა, რომ მისი აქტიური მხარდამჭერების დიდი ნაწილი არის საზღვარგარეთ და ამიტომ დაიწყო ამ ძალის მობილიზება.

ეს მდორე სიტუაცია უნდა დასრულდეს აუცილებლად, უნდა მოხდეს ხელისუფლების ცვლილება. დამყაყებისკენ მიდის ხელისუფლება და ახალი სისხლი და ცვლილებებია საჭირო.

თუ ამას მიხვდება საზოგადოება, ძალიან კარგი იქნება.

# გია აბაშიძე: „სააკაშვილმა საქართველოში შემოსვლა, შესაძლოა, არალეგალი მიგრანტების დახმარებით ცადოს“

ლელა მდივანი

მიხეილ სააკაშვილმა საკუთარი მოდელირებული მთავრობა შექმნა და თანაგუნდელები თანამდებობებზე დანიშნა. ამ ე.წ. მთავრობის რიგებში როგორც ნაციონალური მოძრაობის, ისე აჭარის ე. წ. მთავრობის წევრებსაც ვიხილავთ.

რამ განაპირობა მიხეილ სააკაშვილის მიერ ამ ინიციატივის წამოწყება, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ექსპრეზიდენტის აქტივობებს და რა ევალება ხელისუფლებას შესაძლო საფრთხეების თავიდან ასაცილებლად? – ამაზე „ახალ თაობას“ ექსპერტი გია აბაშიძე ესაუბრა.

**გია აბაშიძე:**

– ალტერნატიული მთავრობის ცნება კანონმდებლობაში ჯერჯერობით არ გვაქვს, მაგრამ, სასურველია, რომ იყოს და ამ ალტერნატიულ მთავრობას აყალიბებს მთავარი ოპოზიციური ძალა ან ოპოზიციურ პარტიათა კოალიცია. ეს მისაღებია და კარგია. არის ძალიან ბევრ ქვეყანაში, მათ შორის უკრაინაში, ლიეტუვაში, პოლონეთში. აღარ ვსაუბრობ ბრიტანეთზე, კანადასა და სხვა სტაჟიან დემოკრატიულ ქვეყნებზე.

სააკაშვილის ალტერნატიული მთავრობის იდეასთან დაკავშირებით მიჩნდება შეკითხვები, რისთვის არის ეს ყველაფერი შექმნილი. მისი პროექტი „ერთად სახლში“ ჩემთვის აღიქმება, როგორც უკრაინული საზღვრის გარღვევის სცენარი.

ჩემი ემიგრანტი ახლობლებისა და სხვა კოლეგების ინფორმაციით, არის ასეთი ვარიანტი, რომ ადრეულ გაზაფხულზე მოხდეს საქართველოს არალეგალი ემიგრანტების შეგროვება და ავტობუსებით მოყვანა, სავარაუდოდ, სარფის საბაჟოზე და ეს ზუსტად აჭარაში რომ შეიქმნა



ალტერნატიული ე.წ. მთავრობა, ბადებს მრავალ შეკითხვას, ხომ არ არის ეს რაღაც პარტიული რესურსების მობილიზება იმისთვის, რომ მის „შემოჭრას“ დაუჭიროს მხარი.

ამას ძალიან სკეპტიკურად ვუყურებ. მთავრობის იდეა მორიგი მისი ავანტიურაც შეიძლება იყოს და საინტერესოა, როგორ შეხვდება ამ ყველაფერს ხელისუფლება, რომელიც ამ მომენტში დაკავებულია პარტიული კინკლაობებითა და იმით, ვინ როდის დატოვებს უმრავლესობას.

***– შესაძლოა, ეს არალეგალი ემიგრანტებიც მოხვდნენ ამ ვირტუალური დეპუტატების რიგებში?***

– არალეგალ ემიგრანტებთან ერთად მას, უბრალოდ, სურს, წამოვიდეს ევროპიდან და, სავარაუდოდ, თურქეთის გავლით.

– ნაციონალური მოძრაობის ზოგიერთმა წევრმა ამ იდეის შესახებ არ იცოდა. როგორც ჩანს, დამოუკიდებლად მიიღო მან ეს გადაწყვეტილება, მათთან კონსულტაციების გარეშე.

***– საპრეზიდენტო არჩევნებმა დაამტკიცა, რომ სააკაშვილმა საკმაოდ ნეგატიური როლი შეასრულა გრიგოლ ვაშაძისა და თანაპარტიელების პოლიტიკურ აქტივობებში. გახსოვთ თქვენ არაერთი განცხადება, რომელსაც თავად ვაშაძე და შემდეგ სხვები ემიჯნებოდნენ ხოლმე.***

ახლა ჩვენი გონება დაკავებულია მმართველ პარტიაში მიმდინარე პოლიტიკური კრიზისით, მაგრამ არანაკლები მიმდინარეობს ნაციონალურ მოძრაობაში და ზუსტად ეს შეუთანხმებელი ქმედებებია ერთ-ერთი ნიშანი. თუ ერთიანობა არ არის მისსავე დაფუძნებულ პარტიაში, როგორ შეძლებს, წინ წასწიოს თავისი პოლიტიკური გეგმები და ეს დაბრუნების გეგმა? ეს დროის ამბავია, თუმცა მე ძალიან სკეპტიკურად ვუყურებ, რომ რაღაც წარმატებას მიაღწიოს.

– მმართველ გუნდში ამბობენ, რომ სააკაშვილს სამოქალაქო დაპირისპირება სურს და სწორედ ეს ინიციატივაა ამის წინაპირობა. შესაძლოა, ასეთი საფრთხის შემცველი იყოს ეს იდეა?

***– საფრთხის შემცველი არის ის ე.წ. უკრაინის სცენარი, ანუ საზღვრის გარღვევის სცენარი. სავარაუდოდ, მცდელობა ექნება შემოსვლის და მერე რა მოხდება, ეს უკვე დამოკიდებულია ხელისუფლების ქმედებებზე, სამართალდამცავ სტრუქტურებზე, რადგან საქართველოში ყოფილი პრეზიდენტი იძებნება და მისი შემოსვლა არ იქნება ისეთი, როგორიც მას სურს.***

მან თავადაც ხომ თქვა, რომ თუ 72 საათის განმავლობაში ხელშეუხებლობის გარანტიას მისცემენ, ის მზად არის, დაამხოს „ქართული ოცნების“ ხელისუფლება. ესეც იწვევს ეჭვს, რომ მას უნდა შემოვიდეს, მრავალათასიანი მხარდამჭერებით იყოს გარშემორტყმული, მაგრამ ისე არ აღმოჩნდეს, რომ მრავალათეული მხარდამჭერით იყოს მხოლოდ გარშემორტყმული და არ ჩავარდეს მისი ეს მორიგი ე.წ. უკრაინული საზღვრის გარღვევის სცენარი.

– მისი სამართლებრივი სტატუსის მიხედვით, აქ გამოჩენისთანავე უნდა დააპატიმრონ და ექსპერტები ამბობენ კიდეც, რომ თუ ხელისუფლება ამას ვერ მოახერხებს 72 საათის განმავლობაში, ესე იგი ის ჩამოშლილია. აქვს ხელისუფლებას ამის ბერკეტი?

***– ხელისუფლება ყოველთვის უნდა იყოს ყურადღებით ნებისმიერი საფრთხის მიმართ, რომელიც კონსტიტუციურ წესრიგს უქმნის საფრთხეს, მით უმეტეს, როცა პოლიტიკურ ავანტიურაზეა საუბარი.***

– სამოქალაქო არეულობას იმ ვირტუალური დეპუტატებისგან ხომ არ უნდა ველოდოთ, რომლებიც აჭარაში ცხოვრობენ?

– კანონის ფარგლებში ყველაფერი შეუძლიათ გააკეთონ, გამომდინარე იქიდან, რომ გამოხატვისა და სიტყვის თავისუფლება გვაქვს. როგორც კი მათ კანონთან ექნებათ პრობლემა, ბუნებრივია, კანონის მიხედვით დაისჯებიან. ასე რომ, გამოხატვის თავისუფლებით ყველაფერი შეუძლიათ, გააკეთონ, თუმცა, არ დაგვავიწყდეს ისიც, რომ პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურის შემდეგ გვახსოვს ჩვენ გრიგოლ ვაშაძის მიერ დაანონსებული უწყვეტი საპროტესტო აქციები, რომლებიც ვერსად ვიხილეთ, თავად ვაშაძეც კი იყო გამქრალი ერთი თვის განმავლობაში და მედიაშიც არ ჩანდა, ასე რომ, ისევ სკეპტიკურად ვუყურებ, რომ შეძლონ მათ რაიმე წარმატება.

ახლა, კონკრეტულ შემთხვევაში, პრაგმატულ ოპოზიციას აქვს უფრო მეტად მნიშვნელოვანი, საინტერესო დღის წესრიგი გეგმაში, ისინი უნდა გაერთიანდნენ ისეთ მნიშვნელოვან თემებზე, როგორიცაა მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის გაუქმება 2020 წლისთვის, უნდა მოხდეს თუ არა გრანდიოზული, ნამდვილი, რეალური ოპოზიციური კონსოლიდაცია იმისათვის, რომ საგნობრივი და შინაარსობრივი ოპონირება გაუწიონ მმართველ გუნდს.

ეს არის ნებისმიერი ჯანსაღი ოპოზიციური პარტიების ყოველდღიური საქმიანობა და არა – დესტრუქციებზე ორიენტირება. იმ 800.000 ადამიანს, რომლებმაც მისცეს ვაშაძეს ხმა, უნდათ კონსტრუქციული, კონსტიტუციური, დემოკრატიული პროცესები და არა – ქუჩაში გამოსვლები და რაღაც კანონსაწინააღმდეგო ქმედებების განხორციელება.

# ვენესუელის გარდამავალი ხელისუფლება აღიარების უკან წაღების პირობას დებს

## ევროკავშირს აფხაზეთის მიმართ ენთუზიაზმი გაუქრა

მარიამ მჭედლიშვილი



ვენესუელის გარდამავალი ხელისუფლება საქართველოს მხარდაჭერას უფასებს და მის ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს. ამის დაგვირგვინება მაშინ მოხდება, როცა ეს ხელისუფლება გამყარდება.

11 წლის წინ ვენესუელის მაშინდელმა პრეზიდენტმა, რუსეთის მეგობარმა უგო ჩავესმა ცნო საქართველოს ოკუპირებული რეგიონების „დამოუკიდებლობა". იმავე პოლიტიკას მისდევდა მისი მემკვიდრე ნიკოლას მადურო.

ამ უკანონო აღიარებას რომ წყალი შეუდგებოდა, ამის ნიშნები ჯერ კიდევ ნიკოლას მადუროს პრეზიდენტობის წინა ვადაში გამოიკვეთა. მაშინ აშშ და ამერიკის კონტინენტის მთელი რიგი სახელმწიფოები მადუროს დიქტატურის დამყარებაში ადანაშაულებდნენ და გადადგომისკენ მოუწოდებდნენ.

როცა მადურომ კენჭი კიდევ იყარა, ამ საპრეზიდენტო არჩევნებში მისი გამარჯვება მსოფლიოს უდიდესმა ნაწილმა არ აღიარა. მათ შეუერთდა საქართველოც. თბილისი ამას არ დასჯერდა და ერთ-ერთი პირველი აღმოჩნდა იმათ შორის, ვინც, აშშ-ის კვალდაკვალ, ვენესუელაში ლეგიტიმურად და დროებით პრეზიდენტად ცნეს მადუროს ოპოზიციაში მყოფი ხუან გუაიდო, რომელიც პარლამენტის სპიკერი იყო.

ვენესუელის დროებითი ხელისუფლებისგან პასუხმაც არ დააყოვნა – ამ დღეებში აშშ-ში ვიზიტად მყოფ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ დავით ზალკალიანს ვაშინგტონში ისეთი დამაიმედებელი სიტყვები უთხრეს, რომ პრობლემებში ჩაძირულ საქართველოს მოსახლეობასაც გულს გაუნათებს.

ამ საკითხზე დავით ზალკალიანი ესაუბრა როგორც აშშ-ის წარმომადგენელს ვენესუელაში, ისე ვენესუელის გარდამავალი ხელისუფლების წარგზავნილს.

– არანაირი ეჭვი არ არის, რომ მას შემდეგ, რაც მოვიპოვებთ სრულ კონტროლს მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე, ვითანამშრომლებთ საქართველოსთან. გვინდა გავხსნათ ურთიერთობა საქართველოსთან.

ეს ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც აქვს იურისდიქცია ამ ტერიტორიებზე. არსებული სიტუაცია ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს, – განაცხადა აშშ-ში ვენესუელის დროებითი პრეზიდენტის წარმომადგენელმა კარლოს ალფერო ვეკიომ.

აშშ-ის წარმომადგენელი ვენესუელაში ალიოტ აბამსი აღნიშნავს, რომ საქართველო ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც ხუან გუაიდო დროებით ლეგიტიმურ პრეზიდენტად აღიარა. იგი დადებითად აფასებს იმას, რომ თბილისს კარაკასის პროგრესულ ძალებთან ინტენსიური კომუნიკაცია ჩამოუყალიბდა.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი აშშ-ის მხარდაჭერა კიდევ ერთხელ დადასტურდა რეზოლუციის პროექტით, რომელიც საკანონმდებლო ორგანოში შევიდა.

მისი ინიციატორია კონგრესმენი ფრანციზ რუზი. რეზოლუცია გმობს სირიის მიერ საქართველოს რეგიონების „დამოუკიდებლობის" აღიარებას, მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და საქართველოს როლს საერთაშორისო მისიებში.

ამ პროცესებს დაემთხვა ბრიტანელი ექსპერტის, თომას დე ვაალის, მოხსენება და კომენტარები. იგი არაღიარების პოლიტიკაზეც საუბრობს.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ სახელმწიფოებმა, რომლებმაც ეს რეგიონები აღიარეს, ამით ასიამოვნეს რუსეთს.

მისი შეფასებით, აფხაზებს დამოუკიდებლობა უნდოდათ. ამასთან, მათ სურდათ, გამხდარიყვნენ ევროპის ნაწილი. 2008 წლის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა.

ცხინვალის რეგიონი, თომას დე ვაალის შეფასებით, სრულ იზოლაციაშია. აფხაზეთში შეინიშნება თვითმმართველობა და სტაბილურობა.

აქტიურობს თუ არა იქ ევროკავშირი? ექსპერტის განმარტებით, ადრე ევროკავშირს ჰქონდა გარკვეული ინიციატივები, რაც არ მოსწონდა რუსეთს და რასაც სიფრთხილით ეკიდებოდა თბილისი. ბოლო 10 წლის განმავლობაში ევროკავშირს აფხაზეთის მიმართ ენთუზიაზმი გაუქრა.

მისივე დაკვირვებით, აფხაზეთში დამყარებულია ეთნოკრატია, რომელიც ჩაგრავს სხვა ეროვნებებს. ასე მაგალითად, გალში მცხოვრები ქართველები მეორეხარისხოვან ადამიანებად არიან მიჩნეული.

# ვახტანგ მაისაია: „როკის გვირაბის ტვირთებისთვის გახსნა არ შეიძლება"



**ემსახურებოდა თუ არა ფაშინიანისა და ბახტაძის არაფორმალური შეხვედრა ცხინვალის გზის გახსნას? რატომ თანხმდება საქართველოს ხელისუფლება რუსეთს როკის გვირაბით საქართველოს ტერიტორიაზე რუსულ-ქართული ტვირთების მოძრაობაზე მაშინ, როცა რუსეთი საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციას, მავთულხლართების გაბმას, ადამიანების გატაცებას აგრძელებს?**

**„ახალ თაობას" ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია ესაუბრა.**

გულიკო ბალაძე

***– ბატონო ვახტანგ, როკის გვირაბისა და ცხინვალის გამოვლით რუსულ-სომხური ტვირთების მოძრაობისთვის გზის გახსნაზე რუსულ მხარესთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს და საკითხი თითქმის გადაწყვეტილია. როგორ აფასებთ ამგვარ გადაწყვეტილებას მაშინ, როდესაც რუსეთი კვლავ განაგრძობს მავთულხლართების გაბმას, ადამიანების გატაცებებს, მღვდელსაც აღარ ინდობენ?***

– საქართველო რუსეთთან ომის მდგომარეობაშია, მაგრამ ომის პერიოდშიც ხდება მსგავსი მოლაპარაკებები.

***– ახლახან დაბრუნდა ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრი ამერიკიდან, სადაც საუბრები იყო იმაზე, როგორ მოახდინოს ზეწოლა რუსეთზე, რომ რუსეთმა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია, გატაცებები და მსგავსი მოქმედებები შეაჩეროს, მით უმეტეს, რატომ უნდა დათანხმდე რუსულ-სომხური ტვირთებისთვის დერეფნის გახსნას?***

– დერეფნის გახსნა რამდენიმე გეოპოლიტიკურ ფაქტორთან არის დაკავშირებული. დერეფნის გახსნა უშუალოდ უკავშირდება რუსეთიდან ტვირთების ტრანზიტის განვითარებას. ამან შეიძლება ხელი შეუწყოს რუსეთ-თურქეთის სავაჭრო ურთიერთობების კიდევ უფრო ინტენსიფიკაციას. მაგალითად, ამ ეტაპზე რუსეთსა და თურქეთს შორის სავაჭრო ბრუნვამ მიაღწია 30 მილიარდ დოლარს. თუ სამხრეთი დერეფანიც გაიხსნა, ამან შეიძლება მოახდინოს ამ ციფრის 50 მილიარდ დოლარამდე გაზრდა.

მეორე – ეს უკავშირდება სომხეთის უსაფრთხოებას, სომხეთი ჩვენი მეზობელია და ის ამ პროექტს ლობირებს. ამის გამო მოხდა ფაშინიანის არაფორმალური შეხვედრა მამუკა ბახტაძესთან. აქ ჩამოსული იყო სომხეთის უშიშროების სამსახურის უფროსი.

სომხეთმა, ფაქტობრივად, რბილი ძალის ელემენტიც გამოიყენა. ახალქალაქში სომეხი მებრძოლის ძეგლის დადგმა იყო დემონსტრაციული ქმედება.

როგორც ჩანს, მკოიანი თვლის, რომ ის ჯერ არის სომხური ინტერესების გამტარებელი და მერე არის საქართველოს პარლამენტის წევრი. ეს უკვე გამოჩნდა.

***– რატომ უნდა დავუდგათ ყარაბაღში მებრძოლ სომეხს ძეგლი, მით უმეტეს, სომხებმა აფხაზეთში საქართველოსა და ქართველების წინააღმდეგაც იბრძოლეს? ბაგრამიანის ბატალიონის ჩადენილი დანაშაულები არავის დავიწყებია. წაიღონ და სომხეთში დადგან.***

– ეს არის რბილი ძალის გამოხატულება სომხეთის მხრიდან ჩვენ წინააღმდეგ. ეს ძეგლი შემთხვევით არ დადგმულა. ამით შეიძლება მომხდარიყო ეთნიკური დაპირისპირების გადმოტანა ჩვენს ტერიტორიაზე.

***– სამაგიეროდ, აზერბაიჯანის მხარე გამოთქვამს უკმაყოფილებას.***

– ბუნებრივია. მე აზერბაიჯანელი კოლეგები და სამხედრო ჟურნალისტები მირეკავენ და მეკითხებიან, ეს რატომ ხდება. ეს ყველაფერი დაკავშირებულია როკი-ცხინვალის გამოვლით დერეფნის გახსნასთან. თუმცა, იმავე აზერბაიჯანის მებრძოლების ძეგლებიც არის დადგმული (რომლებიც დაიღუპნენ მთიან ყარაბაღში) ასევე ჩვენს ტერიტორიაზე, მაგრამ იმ ძეგლების ხელმეორედ, პოლიტიზებული სახით, პომპეზური გახსნა არ მომხდარა.

***– ამბობთ, სომხეთის მხრიდან რბილი ძალის მოქმედება ხდებაო. უსაფრთხოების სამსახურები რას აკეთებენ საქართველოში?***

– რა გითხრათ. არ ვიცი, ჩონგურსა და სალამურზე უკრავენ. რბილი ძალის მოქმედება რომ გამოგეპარება, გასაგებია, სად არიან უსაფრთხოების სამსახურები? ეს კითხვა ჩემთან დასასმელი არ არის.

***– ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები სხვადასხვა ფრონტზე არიან მოსალაპარაკებლად.***

– დიახ, საინტერესო ფაქტია, რომ პარალელურ რეჟიმში საგარეო საქმეთა მინისტრი მიდის ვაშინგტონში, პრემიერის სპეციალური წარმომადგენელი მიდის პრაღაში. ეს მოლაპარაკებები, ფაქტობრივად, პარალელურ რეჟიმში ხდება. როგორც ჩანს, საქართველოს ხელისუფლებას ჰგონია, რომ ის იმყოფება ძველ რეალიებში.

***– რას გულისხმობთ?***

– მას არ ესმის, რომ ახლა არის გამალებული ახალი ცივი ომი და სულ სხვა გეოპოლიტიკური მიზეზებით განპირობებული მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების ტენდენცია. ამერიკა და რუსეთი არიან მტრები. ჩვენ ვართ იმ მდგომარეობაში, როგორშიც იუგოსლავია იყო 80-იანი წლების დასაწყისში, როდესაც საბჭოთა კავშირი და ამერიკა პირდაპირ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ჩვენ უნდა ავარჩიოთ, აქეთ ვართ თუ იქით. აქაც ვარ და იქაც ვარ – ასეთი ვარიანტი არ გამოვა, მით უმეტეს დეკლარირებული გვაქვს, რომ ჩვენ ვართ ევროატლანტიკური საგარეო კურსის მატარებლები. პრაქტიკულად ჩვენ ვატარებთ ნეიტრალიტეტის საგარეო კურსის მქონე ელემენტებს.

***– 2011 წლის ხელშეკრულებას 2011 წელს მოეწერა ხელი და დღეს იმ შეთანხმების მუხლების ამოქმედებაზეა მოლაპარაკებები.***

– 2011 წელს, როცა ხელშეკრულებას ხელი მოეწერა, მაშინ სულ სხვა გეოპოლიტიკური მოვლენები იყო.

***– 2011 წლის ხელისუფლება გვავალდებულებს, რომ ეს დერეფანი გავხსნათ და რუსეთ-სომხეთის ტვირთების მოძრაობას შევუწყოთ ხელი?***

– არაფერს არ გვავალდებულებს. ეს უბრალოდ ფორმალური შეთანხმება იყო, რომელიც რუსეთს საშუალებას აძლევდა, საქართველოს მოეხსნა ვეტო და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი გამხდარიყო. ეს მოდელი შემუშავდა, რომელიც მიბმული იყო რუსეთის სამხედრო ტრანზიტის თემას.

***– ეს გადაწყვეტილება ჩვენ რას გვაძლევს?***

– იმ დროს მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლება დაჰყვა ბარაკ ობამას ხელისუფლების მოთხოვნას, შემუშავებულიყო ეს მექანიზმი. ამერიკა მაშინ დაინტერესებული იყო, რუსეთი გამხდარიყო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი. ეს იყო მედვედევისა და ბარაკ ობამას ხელისუფლებებს შორის შეთანხმების ნაწილი.

***– საქართველოს ხელისუფლება ახლა რატომ თანხმდება ამ ხელშეკრულების ამოქმედებას?***

– როგორც ჩანს, საქართველოს ხელისუფლებას უნდა, ამ ხელშეკრულების ამოქმედებით ეკონომიკური ინდიკატორები გაზარდოს, ქვეყანაში გაიზარდოს საგარეო ინვესტიციების რაოდენობა, საქართველო გახდეს საგარეო ეკონომიკური ჰაბის მატარებელი ქვეყანა.

***– რუსულ-სომხური ტვირთების გადატანით საქართველო ჰაბი როგორ გახდება?***

– დასავლეთ-აღმოსავლეთის დერეფანი ხომ მოქმედებს, დავუშვათ, ჩინეთიდან წამოსული ევროკავშირის მიმართულებით ტვირთების მოძრაობა რუსეთის სამხრეთი დერეფნის ამოქმედება. ჩრდილოეთის დერეფნისა და სამხრეთ აღმოსავლეთის დერეფნის გადამკვეთი ფუნქცია ექნება ჩვენს ტერიტორიაზე და ტვირთები იმოძრავებს საქართველოს ტერიტორიის გავლით.

ეს ნორმალური იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს რუსეთის ფედერაციასთან საომარი მდგომარეობა არ ექნებოდა და რუსეთთან სამშვიდობო ხელშეკრულება გვექნებოდა. იმ პირობებში, როდესაც საქართველო რუსეთთან ომის მდგომარეობაშია, ჩვენ წინააღმდეგ ჰიბრიდული ომი წამოიწყო და ახალი ექსპანსიის საფრთხე იქმნება, ისმება კითხვა, ამ დერეფნის გახსნა რამდენად ექცევა ლოგიკაში.

***– ეს რას ნიშნავს?***

– საქართველოს სატრანზიტო ჰაბად გადაქცევა ცუდი არ არის. გეოპოლიტიკურ კონტექსტში ეს არ უნდა იყოს ცუდი, რომ ხელი შევუწყოთ მეზობელი სომხეთის ინტერესების განხორციელებას, მაგრამ გეოეკონომიკურ ფაქტორს მოჰყვება გეოსტრატეგიული ფაქტორი. გამოდის, რომ რუსეთის წინააღმდეგ წამოწყებული ეკონომიკური სასანქციო პოლიტიკის საწინააღმდეგოდ ვმოქმედებთ.

მითხრეს, რომ მხარეებმა შეთანხმება მიაღწიეს. სად მიაღწიეს, როდის მიაღწიეს? საუბარია 2011 წლის შეთანხმების იმპლემენტაციაზე.

***– შვეიცარული კომპანია დააფიქსირებს ტვირთების მოძრაობასო. რას გვაძლევს ეს ჩვენ?***

– მაშინ გამოდიოდა, რომ რუსეთის მხარე დე ფაქტო ცნობდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, რადგან შვეიცარიული კომპანია დგებოდა ფსოუსა და როკის გვირაბთან. რადგან შვეიცარიული კომპანია იდგებოდა საქართველო-რუსეთის ოფიციალურ საზღვარზე, ეს იქნებოდა რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ცნობა.

***– თუმცა, როგორც ჩანს, რუსეთი ამ ხელშეკრულებითაც მოგებული დარჩა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებითაც.***

– რა თქმა უნდა. მაშინ მხარეებმა მიაღწიეს შეთანხმებას. მაშინ არ იყო ტერიტორიების სრული ოკუპაცია და ანექსია. მაშინ არ იყო სანქციებით გამკაცრებული ბლოკადების პოლიტიკა რუსეთს წინააღმდეგ, მაშინ არ იყო ბირთვული ომის დაწყების საშიშროება, მაშინ არ იყო დაწყებული ახალი ცივი ომი.

***– სწორედ ამიტომ გასაკვირი იქნება, თუ რუსეთი მოახერხებს საბოლოოდ ამ დერეფნის გახსნაზე ხელისუფლების დაყოლიებას, თანაც იმ პირობებში, როდესაც დასავლეთი ცდილობს, მუდმივი სანქციების რეჟიმში ამყოფოს რუსეთი. ერთადერთი, მგონი, გერმანია არ უერთდება სანქციებს.***

– გერმანია სანქციებს უერთდება, რადგან ევროკავშირის მიერ აქვს რუსეთს სანქციები დაწესებული.

***– თუკი ეს დერეფანი რეალურად ამოქმედდება. საქართველოს სახელმწიფოს უსაფრთხოების თვალსაზრისით რას მივიღებთ?***

– როცა ქვეყნის წინააღმდეგ მიმდინარეობს ჰიბრიდული ომი, ამ დერეფნის გახსნამ, უსაფრთხოების კუთხით, შეიძლება, კიდევ უფრო შეარყიოს ჩვენი მდგომარეობა.

გამოდის, რომ სატრანზიტო დერეფანს ვუხსნით იმ ქვეყანას, რომელიც ჩვენს სახელმწიფოსთან საომარ მდგომარეობაშია. ამით, ფაქტობრივად, საქართველო ვარდება რუსეთის წინააღმდეგ სასანქციო პოლიტიკური სტრატეგიიდან.

# ეკა ბესელიას კადრები ბუბა ლომთათიძემ ერევნის ციხიდან ატვირთა

კურიერის ცნობით, ეკა ბესელიას პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები ინტერნეტში ერევნის ციხიდან აიტვირთა.

ერევნის უმკაცრესი რეჟიმის ციხეში უკვე 9 თვეა, სასჯელს საქართველოს მოქალაქე ბუბა ლომთათიძე იხდის. სწორედ მან ატვირთა პირველმა სოციალურ ქსელში ღია კედელზე დეპუტატ ეკა ბესელიას პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები.

კიბერდანაშაულის დეპარტამენტის გამომძიებელი, შოთა ჯანჯღავა, პატაკში სამინისტროს მაღალჩინოსნებს წერს, რომ ბუბა ლომთათიძეა ადამიანი, ვინც ბესელიას კადრებს ღია სივრცეში ავრცელებს.

პატაკში წერია, რომ ლომთათიძემ ბესელიას ვიდეომასალა გააზიარა, ანუ კადრები სხვის ფეისბუქის გვერდზე იყო ატვირთული და კადრები მის პირად გვერდზე გადმოიტანა, თუმცა, რეალობა სულ სხვაა. ერევნის ციხის ქართველმა პატიმარმა კადრები 28 იანვარს თავად ატვირთა, ანუ ის იყო ვიდეომასალის გავრცელების წყარო, თუმცა, ეს ფაქტი შს თანამშრომელმა პატაკში არ ასახა.

სოციალური ქსელით გავრცელებულ განცხადებაში ბუბა ლომთათიძე წერს, რომ ვიდეომასალის გასაჯაროების მიზეზი მხოლოდ ბიძინა ივანიშვილმა იცის.

კანონის თანახმად, განცხადება, სადაც ლომთათიძე ივანიშვილის გვარს ახსენებდა, პოლიციას საქმეში რომ ჩაედო, მაშინ ბესელიას პირადი ცხოვრების კადრების გავრცელების საქმეზე ივანიშვილის დაკითხვაც მოუწევდა.

მოქალაქე სასჯელს განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობისთვის, საკუთარ მეუღლესთან ერთად, ერევნის ციხეში უკვე 9 თვეა, ბრალდებულის სტატუსით ზის. სომეხი სამართალდამცველები მას 60 წლის ტაქსის მძღოლის მკვლელობას ედავებიან.

ბუბა ლომთათიძე კურიერისთვის მიცემულ ინტერვიუში საუბრობს მის დაპირისპირებაზე ივანიშვილების ოჯახთან და კონფლიქტზე ურეკის პოლიციასთან.

გაზეთ ქრონიკა+-ის რედაქტორი ელისო კილაძე აცხადებს, რომ ხელისუფლების ინტერესში საქმის გამოძიება არ არის, რადგან ობიექტური გამოძიების შემთხვევაში, კვალი სწორედ ოცნების მაღალჩინოსნებამდე მივა.

პირველად ეკა ბესელიას პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები ელისო კილაძის ოფისში 2016 წელს მიიტანეს. მაშინ კადრების გასაჯაროება „ქართული ოცნების“ მხარდამჭერმა გელა ღურწკაიამ სცადა. ღურწკაიამ ქრონიკა პლუსის ოფისში კადრები სუს-ის ყოფილ მაღალჩინოსან ნიკოლოზ ხაჭაპურიძესთან ერთად მიიტანა.

ხაჭაპურიძემ დანაშაული საკუთარ თავზე აიღო, რის სანაცვლოდაც პროკურატურამ მას საპროცესო შეთანხმება გაუფორმა და მან საპატიმრო დატოვა.

ნიკოლოზ ხაჭაპურიძესთან გასაუბრება კურიერმა სცადა, თუმცა ის დაიმალა.

2016 წელს გამოძიების დაწყების მომენტში ოფიციალურად ეკა ბესელიას პირადი ცხოვრების კადრები მხოლოდ ორ ადგილას უნდა ყოფილიყო – პროკურატურაში, რომელიც საქმეს იძიებდა და



სასამართლოში, სადაც ამ საქმის განხილვა მიმდინარეობდა.

ადვოკატი ირაკლი ფხალაძე, რომელიც ამავე საქმეზე ბრალდებული იყო, ყვება, როგორ გადადიოდა ხელიდან ხელში ეს კადრები და როგორ უწყობდნენ ამ პროცესს ხელს პროკურორები.

* * *

შსს-მ 9 თებერვალს შაბათის კურიერის ანონსის გასვლის შემდეგ დაადასტურა, რომ ერევნის ციხის ქართველი პატიმარი დეპუტატის საქმეში ფიგურირებს.

უწყების ინფორმაციით, სომხეთის ერთ-ერთ ციხეში ჩხრეკაც ჩატარდა და მობილური ტელეფონიც ამოღებულია, თუმცა, პოლიციის განცხადებაში არაფერია ნათქვამი, რატომ მალავდნენ ამ ამბავს მანამდე, ვიდრე ფაქტის შესახებ კურიერმა არ გაიგო და ინფორმაცია არ გაასაჯაროვა.

– შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში, 28 იანვრიდან მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, ამ ეტაპზე დგინდება, რომ ფეისბუქის გვერდზე ერთ-ერთმა მომხმარებელმა – ბუბა ლომთათიძემ საკუთარ გვერდზე ატვირთა სხვისი პირადი ცხოვრების საიდუმლოების ამსახველი კადრები, – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

უწყების ცნობით, ფეისბუქში ბუბა ლომთათიძის სარეგისტრაციო სახელით, სავარაუდოდ, სარგებლობდა საქართველოს მოქალაქე დ.ი. მან სოციალური ქსელის მეშვეობით მიმდინარე წლის იანვარში ინტერნეტსივრცეში არაერთხელ გაავრცელა პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები.

საქართველოს მოქალაქე დ.ი. მეზობელ ქვეყანაში ჩადენილი მძიმე დანაშაულისთვის – მკვლელობისთვის – ამჟამად სასჯელს სომხეთის ერთ-ერთ ციხეში იხდის.

დ.ი.-მ საქართველოს საზღვარი, მეუღლესთან ერთად, 2016 წლის ნოემბერში გადაკვეთა.

– ქართველი და სომეხი სამართალდამცველების თანამშრომლობით საქართველოს მოქალაქის საკნის ჩხრეკისას ამოღებულია მისი კუთვნილი სამსუნგის მოდელის მობილური ტელეფონი.

შინაგან საქმეთა სამინისტრო აგრძელებს თანამშრომლობას სომეხ კოლეგებთან, ტარდება შესაბამისი ღონისძიებები, დამატებითი მტკიცებულებების მოპოვების მიზნით, – აღნიშნულია შსს-ს განცხადებაში.

# მატროსოვის ციხეში შოთა შანიძემ თვითმკვლელობა ცადა



თბილისის №9 პენიტენციარულ დაწესებულებაში 9 თებერვალს მსჯავრდებულმა შოთა შანიძემ თვითმკვლელობა ცადა. ამის შესახებ სპეციალური პენიტენციარული სამსახურის განცხადებაშია ნათქვამი.

– მიმდინარე წლის 9 თებერვალს, 20:59 საათზე №9 პენიტენციარულ დაწესებულებაში მყოფმა, 1989 წელს დაბადებულმა შოთა შანიძემ საკნის საპირფარეშოში სუიციდის მცდელობა განახორციელა. მან პოლიეთილენის პარკით საპირფარეშოს კარის სახელურზე ცადა თავის ჩამოხრჩობა, – ნათქვამია განცხადებაში.

შოთა შანიძე №9 პენიტენციარულ დაწესებულებაში 2017 წლის 26 იანვარს იქნა შესახლებული და ამ დღიდან მსჯავრდებულის მიმართ, მისივე განცხადების საფუძველზე, უსაფრთხოების ღონისძიებები ხორციელდება.

კერძოდ, იგი იზოლირებულად, სხვა პატიმრებისგან განცალკევებით არის განთავსებული საკანში, სადაც მის მიმართ ვიზუალური და ელექტრონული მეთვალყურეობა მიმდინარეობს.

– სწორედ უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობისა და ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს თანამშრომლების დროული რეაგირების შედეგად მოხერხდა მსჯავრდებულის გადარჩენა.

იგი სასწრაფო წესით ინგოროყვას საუნივერსიტეტო კლინიკაში გადაიყვანეს. სამედიცინო დაწესებულებაში მსჯავრდებულს შესაბამისი სამედიცინო დახმარება გაეწია და სათანადო გამოკვლევები ჩაუტარდა. კერძოდ, გაეწია ექიმების კონსულტაცია, გაკეთდა თავის ტვინის კომპიუტერული ტომოგრაფიული გამოკვლევა, რის შედეგადაც რაიმე ცვლილება არ გამოვლენილა, – აღნიშნულია განცხადებაში.

ამ ეტაპისთვის შოთა შანიძის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, ჰემოდინამიკა სტაბილურია, მსჯავრდებული იმყოფება სედაციის ქვეშ.

მომხდართან დაკავშირებით 9 თებერვალს დაიწყო გამოძიება იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის საგამოძიებო და ოპერატიულ სამმართველოს მიერ (თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა).

ჩატარდა შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები; შემთხვევის ადგილი დაათვალიერეს გამომძიებელმა და ექსპერტ-კრიმინალისტებმა, დაიკითხნენ პენიტენციარული დაწესებულების თანამშრომლები და დაწესებულების სამედიცინო ნაწილის ის ექიმი, რომელმაც მსჯავრდებულის სამოქალაქო სექტორის კლინიკაში გადაყვანის გადაწყვეტილება მიიღო.

* * *

შოთა შანიძეს 2009 წლის 11 მაისს მცხეთის რაიონული სასამართლოს განაჩენით, სასჯელის ზომად 33 წლით და 25 დღით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა. განაჩენი 2010 წლის 30 მარტს უცვლელი დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლომ, ხოლო 2010 წლის 01 ივლისს – საქართველოს უზენაესმა სასამართლომ.

2015 წლის 15 დეკემბერს შოთა შანიძე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ე“, 117-ე მუხლის მე-6 ნაწილი, 117-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ე“ და 117-ე მუხლის მე-8 ნაწილებით გასამართლდა (2014 წლის 4 მარტს №14 პენიტენციარულ დაწესებულებაში მსჯავრდებულ გიგა ფარტენაძის გარდაცვალების საქმე). ამავე სასამართლოს მიერ პირველი და მეორე საქმის განაჩენთა ერთობლიობით და ამნისტიის გათვალისწინებით, შოთა შანიძეს სასჯელის სახით 15 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა.

მიმდინარე წლის 3 იანვარს, შოთა შანიძემ გამოაცხადა შიმშილობა, ითხოვდა მის მიმართ გამოტანილი განაჩენის გადახედვას და მის უდანაშაულოდ ცნობას, ასევე მთავარი პროკურატურისა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მაშინდელი ხელმძღვანელების დასჯას.

მსჯავრდებულმა შიმშილობა 10 იანვარს შეწყვიტა. მიმდინარე წლის 6 თებერვალს შანიძემ გამოაცხადა შიმშილობა და ითხოვდა მსჯავრდებულ გიგა ფარტენაძის გარდაცვალების ფაქტზე საქართველოს პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნას. მსჯავრდებულმა შანიძემ შიმშილობა შეწყვიტა 7 თებერვალს.

შოთა შანიძის მეუღლე ამბობს, რომ ოჯახს სასჯელაღსრულების სამინისტროსთან კითხვები აქვს.

– მე მაქვს უამრავი შეკითხვა სასჯელაღსრულების მისამართით. კერძოდ, ჩემი შეკითხვები არის თუ რატომ მოხდა ოჯახთან დაკავშირება 14 საათიანი ინტერვალით მომხდარი ფაქტიდან. ეს პირველი შეკითხვა. მეორე შეკითხვა არის, რატომ და როგორ მოხდა სუიციდის მცდელობა საკანში, რომელიც არის აღჭურვილი ვიდეო სამეთვალყურეო კამერებით. კერძოდ, ორი კამერაა, როგორც მე ვიცი, დამონტაჟებული და მისი პირადი განცხადების საფუძველზე იმყოფება ვიდეოსამეთვალყურეო კონტროლის ქვეშ, – განაცხადა შოთა შანიძის მეუღლე სოფო სლამისკაიამ.

## გოგონამ ტურისტს ჩანთა წაართვა, ავტობუსს გადაურბინა და მანქანა დაეჯახა

8 თებერვალს თბილისის ცენტრში, პუშკინის ქუჩაზე, უბედური შემთხვევა მოხდა.

12 წლის გოგონა ქუჩაში მოწყალებას ითხოვდა. მან ერთ-ერთ ტურისტს ნივთი წაართვა და ცდილობდა ადგილიდან მიმალვას. სათვალთვალო კამერის კადრებში აშკარად ჩანს, როგორ გარბის ბავშვი ჯერ ტროტუარზე და შემდეგ შეუჩერებლად გადარბის ქუჩაზე, ამ დროს მისკენ მომავალი ლურჯი ავტობუსი ამუხრუჭებს, ბავშვი მას თავს არიდებს, სირბილს აგრძელებს და მეორე ზოლში მოძრავ ავტომობილს ეჯახება.

დარტყმის ძალა მოზარდს უკან აგდებს. რამდენიმე წამში ის გამვლელებს გზიდან ტროტუარზე გადაჰყავთ.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

ავტომობილი, რომელსაც ბავშვი შეეჯახა, ექსპერტიზაზე გადაიყვანეს.

ექიმების ინფორმაციით, ბავშვის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და მას სერიოზული დაზიანებები არ მიუღია.

– მოყვანილი არის 12 წლის გოგო. მათი გადმოცემით არის ქუჩის შემთხვევა. სავარაუდოდ ავტოსაგზაო შემთხვევა. ბავშვს ამის შედეგად მიღებული აქვს პოლიტრავმა. თავზე აქვს კეფის მიდამოში კანქვეშა ჰემატომა. თვითონ სხეულზე რაიმე ისეთი განსაკუთრებული დაზიანება არ იკვეთება, მაგრამ ჩვენ აუცილებლად ჩავუტარებთ პოლიპროფილურ გამოკვლევას, – განაცხადა ნეიროქირურგიული განყოფილების ხელმძღვანელმა ბესიკ წივწივაძემ.

## „ბავშვი დავბრიდეო, ასე თქვა პირდაპირ“

### რუსთავში 29 წლის ბიძამ 12 წლის ძმისშვილი მოკლა

საზარელი მკვლელობა მოხდა რუსთავში, მე-8 მიკრორაიონში.




29 წლის მამაკაცმა 12 წლის ძმისშვილი მოკლა. მეზობლების ინფორმაციით, ბიძამ საკუთარ ძმისშვილს ცივი იარაღით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა. მოზარდი ადგილზე გარდაიცვალა.

მკვლელობის დროს ოჯახში მოზარდის ბაბუაც იმყოფებოდა, რომელიც, მეზობლების თქმით, სასტიკად იყო ნაცემი.

შემთხვევის ადგილზე საპატრულო პოლიციის რამდენიმე ეკიპაჟი იყო მობილიზებული. 12 წლის ბიჭის მკვლელობაში ბრალდებული სამართალდამცველებმა შემთხვევის ადგილზე დააკავეს.

მეზობლები ამბობენ, რომ მამაკაცს ფსიქიკური პრობლემები ჰქონდა.

– დავინახე, რომ ფანჯარაში იდგა ვალერი, ხელი ჰქონდა დასისხლიანებული, პოლიციელები ელაპარაკებოდნენ. ბიჭო, რა არისო, რა მოხდაო, ბავშვი სად არისო. ბავშვი დავბრიდეო, ასე თქვა პირდაპირ. რას ჰქვია, დაბრიდეო და ავიდნენ.

იმან რომ გაიგონა, რომ მაგასთან შედიოდნენ, ფანჯრიდან გადმოხტა და გაქცევა უნდოდა, მაგრამ ეცნენ და დაიჭირეს. მერე პოლიცია შევიდა ოთახში და ბავშვი ცოცხალ-მკვდარი იყო და წაიყვანეს. ბავშვი გარდაიცვალა, – ყვება მოწმე.

როგორც ინფო რუსთავს შსს-ში განუცხადეს, გამოძიება სსკ-ის 108-ე, მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

მკვლელობაში ბრალდებული მამაკაცის მეგობრები. აცხადებენ, რომ იგი მკვლელობის წინა დღეს არაადეკვატურად იქცეოდა.

მათი თქმით, მამაკაცი 9 თებერვალს რუსთავის კლინიკაში გადაიყვანეს, თუმცა იქ უთხრეს, რომ 29 წლის მამაკაცს ფსიქიატრიული საავადმყოფო ესაჭიროებოდა. მეგობრები ყვებიან, რომ მათ მამაკაცი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა საავადმყოფოში პაციენტის დატოვების სანაცვლოდ წინასწარ 3 ათასი ლარის გადახდა მოსთხოვეს.

მეგობრები ამტკიცებენ, რომ მათ საავადმყოფოში აუხსნეს, რომ ფულს გადაიხდიდნენ ოდნავ მოგვიანებით, თუმცა ამაზე უარი უთხრეს.

ოჯახის ახლობლები ადასტურებენ, რომ მკვლელობაში ბრალდებულ ვალერი ირემაძეს ბოლო პერიოდში ფსიქიკური პრობლემები ჰქონდა.

მათივე თქმით, 12 წლის ძმისშვილი ირემაძის ოჯახში ბაბუასთან ერთად ცხოვრობდა და იზრდებოდა და მას ბავშვი უზომოდ უყვარდა.

– ბავშვი ჩემი ნათლული იყო. უზომოდ უყვარდა ბიძას. ბავშვის მშობლები გაშორებულები არიან. დედა ცალკე ცხოვრობს. მამა პოლონეთშია სამუშაოდ წასული.

საშინელი ამბავი მოხდა. ჩემმა მეგობრებმა ფსიქიატრიულში წაიყვანეს გუშინ. იქ ადგილი არ ჰქონდათ და არ დაიტოვეს, ამიტომ იმავე კლინიკის ნარკოლოგიურ განყოფილებაში გადაიყვანეს, სადაც მკურნალობისთვის 3.000 ლარი მოსთხოვეს. ამხელა თანხა არ ჰქონდათ და უკან წამოიყვანეს.

ნარკოდამოკიდებული არ იყო. როგორც ირკვევა, რაღაც ფსიქიკური აშლილობის ნიშნები ჰქონდა. სამწუხაროდ, ძალიან ცუდი ამბავი მოხდა. იმედია, ერი უფრო მეტ სიყვარულს ისწავლის ერთმანეთის. ბოლო დროს ბევრი აგრესიაა დაგროვილი, – განაცხადა გარდაცვლილი ბავშვის ნათლიამ ამირან ჯანჯღავამ „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში.

მოკლული გოგიტა ირემაძე რუსთავის №15 საჯარო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე იყო.

## „11 წლის ბიჭი დაუჭერია და მიათრევდა სახლში“

### რატომ დააკავეს კასპში 63 წლის მამაკაცი

კასპში დააკავეს 63 წლის მამაკაცი, რომელიც არასრულწლოვანი ბიჭის მიმართ გარყვნილ ქმედებას ახორციელებდა.

11 წლის მოზარდს მამაკაცი, სავარაუდოდ, იცნობდა და არც მისი ნდობის მოპოვება გასჭირვებია.

კასპში თანასოფლელები ყვებიან, რომ ბავშვი სახლში მიდიოდა, როდესაც მამაკაცმა ძალის გამოყენებით წაიყვანა. ადგილობრივები ამბობენ, რომ ბავშვმა თავის დაღწევა თავადვე შეძლო.

– პატარა ბავშვი სკოლიდან რომ მოდიოდა, დაუჭერია და მიათრევდა სახლში. ბავშვი ასე ყვება, ძალით მიმათრევდაო, – ამბობს ერთ-ერთი ადგილობრივი.

დაკავებულის მეუღლეს მომხდართან დაკავშირებით დამატებით დეტალებზე საუბარი არ სურს და ამბობს, რომ მას დაკავების მიზეზად ქურდობის ფაქტი დაუსახელეს.

დაკავებული დანაშაულს აღიარებს.

დანაშაული 5-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# ქურდობის მცდელობისთვის 2 პირი დააკავეს



შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის სამტრედიის რაიონულ სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წარსულში ნასამართლევი ორი პირი: 1989 წელს დაბადებული ვ. ს. და 1994 წელს დაბადებული ჩ. დ. ქურდობისა და ქურდობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა მიმდინარე წლის 3 თებერვალს სამტრედიის რაიონის სოფელ იანეთში მოქალაქის საცხოვრებელი სახლის გაქურდვა სცადეს. სახლის პატრონმა მათ წინააღმდეგობა გაუწია, რის გამოც ორივე მათგანი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ვ.ს. და ჩ.დ. სამტრედიაში დააკავეს.

# 15 წლის მოზარდმა 2 მაღაზია, რესტორანი და ტურისტული ოფისი გაქურდა



შსს-ს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 2003 წელს დაბადებული ა.ა., ქურდობის ბრალდებით, თბილისში დააკავეს.

ამის შესახებ ინფორმაციას შსს ავრცელებს, სადაც ნათქვამია, რომ დანაშაული 3-დან 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა თბილისში მდებარე ორი მაღაზია, რესტორანი და ტურისტული ოფისი გაქურდა. სამართალდამცველებმა ნაქურდალი ნივთების ნაწილი ნივთმტკიცებად ამოიღეს“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

გამოძიება ქურდობის ფაქტზე მიმდინარეობს.

# ხანძარი წალენჯიხაში
## დაიღუპა 95 წლის მამაკაცი



წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ფახულანში ხანძარს 95 წლის მამაკაცი ემსხვერპლა.

შემთხვევა 9 თებერვალს, დილით მოხდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს უფროსმა გოჩა მურღულიამ განუცხადა, ადგილზე მისულ მეხანძრეებს სახლი – უკვე დამწვარი, მამაკაცი კი გარდაცვლილი დახვდათ.

ხანძრის შედეგად ხის სახლი მთლიანად დაიწვა.

# ავტოავარია თბილისში
## დაიღუპა 2 ადამიანი




თბილისში, თამარ მეფის გამზირზე, ერთმანეთს ორი მსუბუქი ავტომანქანა დაეჯახა. შედეგად ორი ადამიანი დაიღუპა.

შსს-მ მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლის მე-7 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

# თბილისში 15-16 წლის მოზარდი მაღალსართულიანი შენობიდან გადმოვარდა



თბილისში 15-16 წლის მოზარდი მაღალსართულიანი შენობიდან გადმოვარდა. ერთ-ერთი ვერსიით, ის გადმოხტა, თუმცა ზუსტი ინფორმაცია ამ დრომდე უცნობია.

ადგილობრივები აცხადებენ, რომ ისინი ახალგაზრდას არ იცნობენ და ბიჭი იქ არ ცხოვრობდა.

მოზარდი, სავარაუდოდ, ღია ტიპის სადარბაზოდან გადმოვარდა.

შემთხვევიდან საათ-ნახევრის განმავლობაში ცხედარი ადგილზე რჩებოდა, რის შემდეგაც ის ექსპერტიზაზე გადაასვენეს.

# კრეიგ ფოლერი: „რუსეთი დაჭრილი, დასუსტებული დათვივით იქცევა“



ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში აშშ-ის გაერთიანებული სარდლობის ხელმძღვანელმა, ადმირალმა კრეიგ ფოლერმა განაცხადა, რომ რუსეთი იქცევა, როგორც დაჭრილი, დასუსტებული დათვი, რომელიც ლათინურ ამერიკაში დემოკრატიულ ინტერესებს ესხმის თავს.

– თუკი რუსეთზე ვსაუბრობთ, ყველაფერია შესაძლებელი. ჩვენ უკვე ვიხილეთ, რა ჩაიდინეს რუსებმა სირიაში და მზად უნდა ვიყოთ იმისთვის, რომ ახლო მომავალში იგივე განმეორდება, – განაცხადა ამერიკელმა ადმირალმა.

ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში აშშ-ის გაერთიანებული სარდლობის ხელმძღვანელმა ასევე აღნიშნა, რომ რეგიონის არადემოკრატიულ ქვეყნებში, კუბაში, ვენესუელასა და ნიკარაგუაში რუსეთისა და ჩინეთის გავლენა ფიქსირდება.

– რუსეთისგან ყველაფერია მოსალოდნელი. ჩვენს ეროვნული თავდაცვის სტრატეგიაში განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ჩინეთსა და რუსეთს. თუმცა, ეს ორი განსხვავებული შემთხვევაა.

ჩინეთი მზარდი ეკონომიკური ძალაა, რომელსაც კანონიერი უფლება აქვს თავის ბიზნესინტერესებზე მსოფლიო მასშტაბით. ამავდროულად, ის უარს ამბობს წესების დაცვაზე. რუსეთი კი, ფაქტობრივად, დაჭრილი, დასუსტებული დათვია, რომელიც იერიშზე გადავიდა და მოსკოვის შემდგომ ნაბიჯებზე პროგნოზს ვერ გავაკეთებ, – დასძინა კრეიგ ფოლერმა.

# გერმანიამ და საფრანგეთმა „ჩრდილოეთის ნაკად-2“-თან დაკავშირებით კომპრომისს მიაღწიეს



ბრიუსელში ფრანკო-გერმანული სამიტი შედგა.

მოლაპარაკებების ძირითადი თემა პროექტ „ჩრდილოეთის ნაკად-2-თან“ დაკავშირებული საკითხები იყო.

საფრანგეთმა რამდენიმე წინადადება წამოაყენა, რამაც „ჩრდილოეთის ნაკად-2“-ის რეალიზებას პრობლემები შეუქმნა.

ფრანკო-გერმანული მოლაპარაკებების შედეგად რიგი უთანხმოების მოგვარება მოხერხდა. ამ ეტაპზე „ჩრდილოეთის ნაკად-2“-ის განხორციელებას ხელს არაფერი უშლის.

# ტრამპი: „ჩრდილოეთ კორეა ეკონომიკურ რაკეტად გადაიქცევა!“



27-28 თებერვალს ვიეტნამში აშშ-ჩრდილოეთ კორეის სამიტი გაიმართება.

აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ოპტიმისტურად არის განწყობილი. ის აცხადებს, რომ ბირთვული განიარაღების სანაცვლოდ ჩრდილოეთ კორეა ეკონომიკურ დივიდენდებს მიიღებს, ეს კი ამ ქვეყნის სწრაფ განვითარებას ხელს შეუწყობს.

– ჩრდილოეთ კორეა ეკონომიკურ რაკეტად გადაიქცევა! – აცხადებს ტრამპი.

ამერიკელი ექსპერტები ამას პესიმისტურად უყურებენ. ისინი თვლიან, რომ ჩრდილოეთ კორეა ბირთვულ იარაღზე უარს არ იტყვის.

# სენატორ ელიზაბეტ უორენს პრეზიდენტობა სურს



დემოკრატ სენატორ ელიზაბეტ უორენს სურს, აშშ-ის პრეზიდენტი გახდეს. მან ამის თაობაზე თავად განაცხადა.

უორენი თავის დროზე ამტკიცებდა, რომ წარმოშობით ინდიელია. სხვები ამას არ დაეთანხმნენ და ამის გარშემო სკანდალი აგორდა. ბევრმა უორენი სიცრუეში დაადანაშაულა.

უორენის ამჟამინდელმა საპრეზიდენტო ამბიციებმა ბევრი გააოცა. პრეზიდენტად გახდომამდე მან დიდი, რთული და ხანგრძლივი გზა უნდა განვლოს. ესაა პრაიმერიზი, შემდეგ კი – საპრეზიდენტო მარათონი.

# ეუთო უკრაინულ არჩევნებზე რუსი დამკვირვებლების დაშვებას ითხოვს



როგორც ცნობილია, უკრაინის პარლამენტის დადგენილებით, რუს დამკვირვებლებს უკრაინულ არჩევნებზე არ დაუშვებენ. ეუთოს თავმჯდომარე და სლოვაკეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლაიჩაკი თავის უკრაინელ კოლეგა კლიმკინს დაუკავშირდა.

ლაიჩაკმა კლიმკინს რუსი დამკვირვებლების დაშვება სთხოვა.

– რუსეთი უკრაინული არჩევნების ცნობას არ აპირებს. თუ მათ დამკვირვებლებს არ დაუშვებთ, ამით ამოცანას შეუმსუბუქებთ, – თქვა ლაიჩაკმა.

# საფრანგეთში აქციები გრძელდება



პარიზსა და საფრანგეთის სხვა ქალაქებში საპროტესტო აქციები განახლდა.

პარიზში მანიფესტანტებმა პარლამენტის შენობაში შეჭრა ცადეს. პოლიციამ მათ გზა გადაუღობა. მოხდა შეტაკება. დაზიანდა 1 მანიფესტანტი.

საპროტესტო აქციები სხვა ქალაქებშიც ჩატარდა.

# სირიის დემოკრატიულმა ძალებმა გადამწყვეტი შეტევა დაიწყეს



სირიის დემოკრატიულმა ძალებმა ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ გადამწყვეტი შეტევა დაიწყეს.

სეპარატისტების მიერ კონტროლირებად ანკლავზე გენერალური იერიში დაიწყო.

დემოკრატიულ ძალებს მხარს უჭერს აშშ-ის ეგიდით შექმნილი საერთაშორისო კოალიცია.

# ლონდონის სასამართლო მოლდოვის ექსპრემიერის ვაჟის საბანკო ანგარიშით დაინტერესდა



როგორც ცნობილია, მოლდოვის ექსპრემიერი ფალატი კორუფციაში იქნა მხილებული. ის კიშინიოვში გაასამართლეს და 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ლონდონის სასამართლო დაინტერესდა მისი ვაჟით, ლუკათი, რომელიც ლონდონში ცხოვრობს. საბანკო ანგარიშზე მას 600.000 დოლარი აღმოაჩნდა.

– ყოფილი პრემიერის ვაჟმა ვერ ახსნა, ამდენი ფული საიდან ჰქონდა, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, ხსენებული ანგარიში დაიბლოკა.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# განცხადებები

## სხვადასხვა

- ფოტოსურათით მოგიხსნით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ჯადო-თვალი-წყევლას, დეპრესიას, უიმედობას, შებოჭილობას, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, თვითმკვლელობის სურვილს და სხვა პრობლემებს. ტელ: 599-49-84-23 ნანა. ფირმა „იადიგარ დაუდი“.

## ჯანმრთელობა, მკურნალობა

- ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.
- კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.
- სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.
- მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
- ძვალ-სახსართანებისმიერიპრობლემისმოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.
- ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# საქართველომ ევროპის თასი რუმინეთში მოგებით დაიწყო

**რუმინეთი-საქართველო 9:18**

**რუმინეთი:** მელინტე, ზახარია, ფერკუ, ვლაიკუ, ონუცუ, (პოპა 62), პლაი (ბუკური 75) კალაფეტეანუ (სურუჯიუ 59); მ.ლაზერი (ურსაკე 62), ტურაშვილი (კეპეცინა 41), ურსაკე (გორდაში 51), ფანჰირდენი (დ.ლაზერი 62) ანტონესკუ, მაკოვეი, იონი, გორენი (ლუკაჩი 63)

**საქართველო:** ხმალაძე, აფციაური, (მოდებაძე 73), ძნელაძე, კვესელაძე, თოდუა, აბჟანდაძე ლობჟანიძე (აფრასიძე 75); გოგიჩაშვილი (მატარაძე 73), მამუკაშვილი (კარკაძე 73), გიგაშვილი (ჩილაჩავა 60), გიგაური (ჭეიშვილი 54), ნემსაძე, საღინაძე (თხილაიშვილი 60), ცუცქირიძე, გორგაძე



საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა 2019 წლის პირველ მატჩში რუმინეთი იქაურ ქალაქ კლუჟში 18:9 დაამარცხა და შინ წლის პირველი თასით ხელდამშვენებული ბრუნდება.

რაგბი ევროპის ჩემპიონატის სადებიუტო მატჩში, გაახალგაზრდავებული გუნდით პირველ შეხვედრაში უშუალო კონკურენტს სტუმრად ვეთამაშეთ. გუნდში გვყავდა 3 დებიუტანტი, რომელთაც ამოცანა წარმატებით გადაჭრეს და გამოცდილ მეტოქესთან პირველი გამარჯვება იზეიმეს.

ბორჯღალოსნებმა აიღეს რევანში, 2017 წელს სტუმრად განცდილი მარცხისთვის, ისტორიაში მეხუთედ მოიგეს რუმინეთში, რითაც შეინარჩუნეს ვლახებთან საცილო „ანთიმოზ ივერიელის თასი".

არ იყო იდეალური თამაში, ბევრი შეცდომა დავუშვით პირველ ტაიმის საწყის წუთებში. საკუთარი დერეფანიც კი წავაგეთ – რუმინელებს ამ კომპონენტში შესწავლილი ვყავდით. არც შეტევაში გამოგვდიოდა რამე ხეირიანი.

მასპინძლები უკვე მე-8 წუთზე დაწინაურდნენ – 3 ქულა ფლორიან ვლაიკუს ჯარიმით მოიპოვეს. 27-ე წუთზე მანვე მეორე ჯარიმაც გაიტანა და რუმინეთი 6 ქულით დაწინაურდა.

პირველ ნახევარში 2 ჯარიმის გატანის შანსი ჰქონდა თედო აბჟანდაძეს, თუმცა ახალგაზრდა ბორჯღალოსანმა მხოლოდ ერთი გამოიყენა და 39-ე წუთზე ანგარიშში სხვაობა შეამცირა. იყო ერთი მომენტიც, როდესაც ლელოსთან ახლოს ვიყავით, მაგრამ ტაიმი მაინც წავაგეთ.

მეორე ტაიმის დასაწყისში გიორგი აფციაურის გარღვევის შემდეგ გურამ გოგიჩაშვილი ლელოში კი შევიდა, მაგრამ მანამდე მეტოქემ შეტევა აშკარა წესების დარღვევით ჩაშალა და საჯარიმო ლელოთი დაისაჯა. ასე რომ, გოგიჩაშვილს სადებიუტო ლელო გააუქმეს.

საქართველომ 66-ე წუთზე კიდევ ერთხელ გაშალა შეტევა, გიორგი ცუცქირიძის იდეალური პასის შემდეგ ბექა გორგაძე მარჯვენა ფრთაზე მბოჭავს გასცდა და ბურთი ლელოს მიაწვდინა. გარდასახვა არაზუსტი იყო, მაგრამ სოლიდურად დავწინაურდით – 15:6.

72-ე წუთზე ფლორიან ვლაიკუმ კიდევ ერთი ჯარიმა გაიტანა და ანგარიშში სხვაობა 6 ქულამდე შეამცირა – 9:15.

ჰეიგმა დარჩენილ დროში მინდორზე თორნიკე მატარაძე და ვანო კარკაძე შეიყვანა. კარკაძეს ნაკრების რიგებში დებიუტი ჰქონდა. 18 წლის მორაგბემ ბორჯღალოსნების კვართი პირველად მოირგო.

მატჩის მიწურულს თედო აბჟანდაძემ კიდევ ერთი ჯარიმა გამოიყენა და შეხვედრის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 18:9.

**გიორგი ნემსაძე, საქართველოს ნაკრების კაპიტანი:**

– საინტერესო თამაში მოვიგეთ. მაქსიმალურად ვეცადეთ, გაგვეხარებინა ის გულშემატკივარი, ვინც ტელევიზორიდან გვადევნებდა თვალს. მათ ერთ კვირაში ექნებათ შანსი, რომ სტადიონზე მოვიდნენ და იქ დაგვიჭირონ მხარი. გამარჯვებას და თასს მაყურებლის გარეშე აზრი არა აქვს და ყველას გელით „ავჭალაზე".

# გიორგი ნავალოვსკი: „ეს ტოპტურნირზე მოხვედრის ბოლო შანსია"

საქართველოს ნაკრების მარცხენა მცველი გიორგი ნავალოვსკი მინსკის დინამოსთან ერთად შეკრებაზეა. ჩვენებურს ბელარუსი ჟურნალისტები ესაუბრნენ, სადაც ნავალოვსკი ეროვნულ გუნდზე და, ზოგადად, საქართველოზე საუბრობს.



***– დინამოში დარჩენას აპირებ?***

– გუნდთან კონტრაქტით კიდევ ერთი წელი მაკავშირებს და რა უნდა გავაკეთო? ცხადია, კიდევ ერთი წელი მინსკში დავრჩები, მიუხედავად იმისა, რომ წინადადებები მქონდა. სანამ დინამოსთან მოქმედი კონტრაქტი მაქვს, სხვა გუნდებზე არც ვფიქრობ.

***– საერთოდ, როგორ მოხვდი მინსკის დინამოში?***

– გასულ წელს ხაბაროვსკთან კონტრაქტი დამიმთავრდა, გუნდიც გავარდა პირველ ლიგაში, იქ თამაში კი არ მინდოდა. საქართველოში ვიყავი სახლში და წინადადებებს ველოდებოდი. დამირეკეს ყაზახეთიდან, აზერბაიჯანიდან, ევროპიდან... თუმცა, ეს არ იყო ასპროცენტიანი წინადადებები. საქართველოში დარჩენაც შემომთავაზეს. ერთია, 32 წლის ვარ და მალე ევრო-2020 შესარჩევი ეტაპი იწყება. ეს ბოლო შანსია ტოპ-ტურნირზე ვითამაშო. ამიტომ გადავწყვიტე ისევ „ლეგიონერად დავრჩენილიყავი". ამ დროს დამირეკა ბულიდამ და კონკტრაქტი შემომთავაზა – მეც დავთანხმდი.

***– რით მოგხიბლა მინსკის ვარიანტმა?***

– შემოდგომით ერთა თასი იწყებოდა, ამიტომ მინდოდა, ოპტიმალურ ფორმაში შევხვედროდი. პირობებიც კარგი იყო, მიდგომაც პროფესიონალური.

***– ოჯახი მუდამ თან გახლავს?***

– არა, ცოლი და შვილი ერთი თვით იყვნენ ჩამოსული. უფროსი გოგო სკოლაში დადის და საქართველოში მარტო დიდხანს ვერ დავტოვებთ. ცოტა რთულია ოჯახის გარეშე, მარტო ცხოვრება, მაგრამ მივეჩვიე.

***– ქართველები მინსკში ბევრნი არიან. მალე გამოძებნე მეგობრები?***

– დიახ. არის ერთი პატივცემული პიროვნება – თენგიზ დუმბაძე. ისიც თქვენი პროფესიისაა. მის ბიჭთანაც ვმეგობრობ.

***– ქართულ რესტორნებში დადიხარ?***

– ალბათ, მინსკში ძალიან ცოტაა. ერთხელ ვიყავი სახინკლეში, მაგრამ არ მომეწონა. რუსეთში უკეთესი ქართული რესტორნებია.

***– საფეხბურთო ინფრასტრუქტურა საქართველოში უკეთესია თუ ბელარუსში?***

– საქართველოში განვითარება დაიწყო, ახალ სტადიონებს აშენებენ. ბელარუსში მაინც უკეთესი ჩემპიონატია, თუმცა საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია აქტიურად მუშაობს წინსვლისთვის. უბრალოდ, საქართველოში მხოლოდ 5 გუნდია, სადაც ნორმალური პირობებია. აი, სხვა გუნდებში კი ფეხბურთელებს ბუცების საყიდლადაც არ ჰყოფნით ფული...

***– სერიოზულად?***

– დიახ, ასეთი გუნდებიცაა. სტადიონებს აშენებენ. აი, ბათუმში იქნება ახალი არენა. საქართველოში ხელოვნურ საფარზე უკვე აკრძალეს თამაში.

***– საქართველო ერთა ლიგის ფლეი ოფში გავიდა. როგორ აღიქვეს ეს ქვეყანაში – როგორც ყველაზე დიდი გამარჯვება?***

– დიახ. და იცით, როცა ვერ ვიგებდით, როგორ გვიტევდნენ? ახლა კი ისე მოხდა, რომ მხოლოდ ერთხელ ვითამაშეთ ფრე, დანარჩენი კი მოვიგეთ. გულშემატკივრები ჩვენკენ შემობრუნდნენ.

***– რა ძალას წარმოადგენს დღევანდელი საქართველოს ნაკრები?***

– ახალგაზრდული და ძლიერი ნაკრებია, რომელსაც კარგი პოტენციალი აქვს. ახალგაზრდები თუ ბოლომდე მიჰყვებიან, შესაძლოა, ძლიერ კლუბებში მოხვდნენ და კარგ შედეგს მიაღწიონ.

***– ესპანეთთან ამხანაგურში მოგება უფრო სასიხარულოა თუ ერთა ლიგის ფლეი ოფში გასვლა?***

– ფლეი ოფი. საქართველოს ევროპის ჩემპიონატზე გასვლის შანსი გაუჩნდა.

***– საინტერესოა, რა გაიფიქრე, როცა გაიგე, რომ ფლეი ოფში ბელარუსი შეგხვდებათ?***

– გავიფიქრე თანაგუნდელებთან შეხვედრაზე. შესაძლოა, მეგობრების წინააღმდეგ ვითამაშო, მაგრამ დამიჯერეთ, არამეგობრული თამაში იქნება...

***– საქართველოში ბელარუსის ნაკრებზე რას ამბობენ?***

– მხოლოდ კარგს ამბობენ. საერთოდ, ქართველი ხალხი მეტოქეზე ცუდად არ საუბრობს. ვნახოთ, რა როგორ იქნება. მარტში შესარჩევი იწყება და ღმერთმა ქნას, იქიდან გავიდეთ ევროპაზე. თუ ასე მოხდა, ბელარუსთან აღარ ვითამაშებთ.

***– მინსკის დინამოში თანაგუნდელებთან თბილი ურთიერთობა გაქვს. ბელარუსის გუნდებში ხშირად ხუმრობენ ახალწვეულებთან, სხვადასხვა ამბებზე ემასხრებიან. შენ როგორ გეხუმრნენ?***

– არანაირად.

***– რატომ? უხეში ქართველი არ გამოდგე, ამის ეშინიათ?***

– არა, საშიში რა არის?! ქართველები იკბინებიან? რატომ ჰგონია ხალხს, რომ ქართველებთან ხუმრობა არ შეიძლება... მე თვითონაც ბევრს ვხუმრობ.

# კლოპი ჩემპიონთა ლიგის წინ კმაყოფილია

პრემიერ ლიგის 26-ე ტურში ლივერპულმა საკუთარ მოედანზე ბორნმუთი მიიღო. მერსისაიდელებმა მეტოქე 3:0 გაანადგურეს. გოლები სადიო მანემ, ჟორჟინიო ვეინალდუმმა და მოჰამედ სალაჰმა გაიტანეს.

იურგენ კლოპმა თავისი გუნდის თამაშს იდეალური უწოდა და აღნიშნა, რომ სწორედ ასეთ ლივერპულის ნახვა სურს მუდამ.

**იურგენ კლოპი:**

– არა მხოლოდ დასკვნითი წუთები, არამედ მთლიანი შეხვედრა იყო კარგი. რთული მატჩი გამოვიდა, რადგან, თავადაც ხედავდით, როგორ შეეძლო მეტოქეს სისწრაფის გამოყენება და ხიფათის შექმნა. ჩვენი კონტრპრესინგი ერთ-ერთი საუკეთესო იყო და ეს ყოველთვის კარგის ნიშანია. შეტევაში იგრძნობოდა კრეატიულობა, სიძლიერე და სისწრაფე. ყველა გოლი, უბრალოდ, ბრწყინვალე იყო. დამსახურებული 3 ქულა მოვიპოვეთ...

ძალიან თვითკრიტიკულები ვართ. ნათელი იყო, რომ ბოლო მატჩებით კმაყოფილნი არ ვიყავით, მაგრამ ყველაფერს აქვს გარკვეული მიზეზები, თუმცა მათზე საჯაროდ ვერ ვისაუბრებთ, რადგან ეს ბოდიშის მოხდად ჩაითვლება. ჩვენ არა, მაგრამ ანალიტიკოსებმა სწორი აქცენტები უნდა გააკეთონ. დიახ, არ ვიყავით ბედნიერები ნაჩვენები თამაშით, რადგან გვსურს, დამაჯერებლად ვითამაშოთ. ამჯერად ჩვენი თამაშის ჩვენება გვსურდა და ბიჭებს ეს ნამდვილად შესანიშნავად გამოუვიდათ...

ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ და ბევრ სიტუაციას მოვერგოთ. დიდ პრობლემას არ წარმოადგენს 3,5 ან 7 ქულით წინ ყოფნა, მაგრამ ესეც კი უნდა ვისწავლოთ. 51 წლის ვარ და ყველაფერზე საკუთარი აზრი მაქვს. არ ვსარგებლობ სოციალური მედიით და არ ვკითხულობ ბევრს, მაგრამ, ცხადია, რთულია, როცა ამ ბიჭებზე ბევრს საუბრობენ.

ჩვენთვის მხოლოდ საკუთარი აზრია მნიშვნელოვანი. დღეს რეაქციის ჩვენება გვსურდა და ეს გამოვიდა კიდეც. წინა შეხვედრებში გარკვეულ სირთულეებს შევხვდით. მატჩის წინა ღამით ვეინალდუმი ჩვენთან ერთად სასტუმროშიც კი არ ყოფილა, მოგვიანებით კი გავიგეთ, რომ ის შეძლებდა თამაშს. ექიმიც არ იყო დარწმუნებული.

ეს ბიჭები, მათი ხასიათი და მენტალობაა ერთადერთი მიზეზი ცხრილის სათავეში ყოფნისა. როგორც კი რაღაც ისე ვერ მიდის, ხალხს შენში ეჭვი შეაქვს, ასეთია სამყარო და ეს პროგნოზირებადია. ბიჭების ხასიათისა და უნარების კომბინირებით შეგვიძლია, საფეხბურთო მატჩები მოვიგოთ, ისე, როგორც ეს ბორნმუთთან გავაკეთეთ.

შედეგი ნამდვილად კარგია, მაგრამ ნაჩვენები თამაში უბრალოდ ბრწყინვალეა. სალაჰის განეიტრალება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ის ყველა ეპიზოდშია ჩართული და ეს მხოლოდ გოლებს არ ეხება. სწორედ ასე შეუძლია მას თამაში. რაც შეეხება მის გოლს, ვერ დაასახელებთ ბევრ მოთამაშეს, რომელიც იმ ეპიზოდში ფირმინოს მსგავსად მოიქცეოდა, უმეტესობა დარტყმაზე იფიქრებდა, რომელსაც არ აცდიდნენ, მომო კი კარგი „ფინიშერია"...

ფანებში ეჭვი არ გვეპარება. ისინი განსაკუთრებულნი არიან და წარმატების ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენენ.

ამიტომაც გვაქვს „ენფილდზე" ასეთი შედეგი.

# შედეგები

## 9 თებერვალი

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ფულემი-მანჩესტერი ..................... 0:3
კრ.პალასი-ვესტ ჰემი ..................... 1:1
ლივერპული-ბორნმუთი ..................... 3:0
საუთჰემპტონი-კარდიფი ..................... 1:2
უოტფორდი-ევერტონი ..................... 1:0
ჰადერსფილდი-არსენალი ..................... 1:2
ბრაიტონი-ბარნლი ..................... 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 26 | 20 | 5 | 1 | 59-15 | 65 |
| 2.სიტი | 26 | 20 | 2 | 4 | 68-20 | 62 |
| 3.ტოტენჰემი | 25 | 19 | 0 | 6 | 51-24 | 57 |
| 4.მანჩესტერი | 26 | 15 | 6 | 5 | 52-35 | 51 |
| 5.ჩელსი | 25 | 15 | 5 | 5 | 45-23 | 50 |
| 6.არსენალი | 26 | 15 | 5 | 6 | 53-37 | 50 |
| 7.ვულვზი | 25 | 11 | 5 | 9 | 33-32 | 38 |
| 8.უოტფორდი | 26 | 10 | 7 | 9 | 34-34 | 37 |
| 9.ევერტონი | 27 | 9 | 6 | 12 | 36-39 | 33 |
| 10.ვესტ ჰემი | 26 | 9 | 6 | 11 | 32-39 | 33 |
| 11.ბორნმუთი | 26 | 10 | 3 | 13 | 37-47 | 33 |
| 12.ლესტერი | 25 | 9 | 5 | 11 | 30-31 | 32 |
| 13.კრ.პალასი | 26 | 7 | 6 | 13 | 27-34 | 27 |
| 14.ბრაიტონი | 26 | 7 | 6 | 13 | 28-39 | 27 |
| 15.ბარნლი | 26 | 7 | 6 | 13 | 29-47 | 27 |
| 16.კარდიფი | 26 | 7 | 4 | 15 | 24-47 | 25 |
| 17.ნიუკასლი | 25 | 6 | 6 | 13 | 21-33 | 24 |
| 18.საუთჰემპტონი | 26 | 5 | 9 | 12 | 28-44 | 24 |
| 19.ფულემი | 26 | 4 | 5 | 17 | 25-58 | 17 |
| 20.ჰადერსფილდი | 26 | 2 | 5 | 19 | 14-48 | 11 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

მიდლსბრო-ლიდსი ..................... 1:1
ბლექბერნი-ბრისტოლი ..................... 0:1
ბოლტონი-პრესტონი ..................... 1:2
დერბი-ჰალი ..................... 2:0
ქპრ-ბირმინგემი ..................... 3:4
ნოტინგემი-ბრენტფორდი ..................... 2:1
როტერჰემი-უიგანი ..................... 1:1
სუონსი-მილუოლი ..................... 1:0
უენსდი-რედინგი ..................... 0:0
სტოკი-ვესტ ბრომვიჩი ..................... 0:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ხეტაფე-სელტა ..................... 3:1
ატლეტიკო-რეალი ..................... 1:3
ესპანიოლი-რაიო ..................... 2:1
ხირონა-უესკა ..................... 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 22 | 15 | 5 | 2 | 60-23 | 50 |
| 2.რეალი | 23 | 14 | 3 | 6 | 40-27 | 45 |
| 3.ატლეტიკო | 23 | 12 | 8 | 3 | 33-17 | 44 |
| 4.სევილია | 22 | 10 | 6 | 6 | 36-23 | 36 |
| 5.ხეტაფე | 23 | 9 | 8 | 6 | 28-19 | 35 |
| 6.ბეტისი | 22 | 9 | 5 | 8 | 26-26 | 32 |
| 7.ალავესი | 22 | 9 | 5 | 8 | 22-27 | 32 |
| 8.ვალენსია | 22 | 6 | 12 | 4 | 24-20 | 30 |
| 9.სოსიედადი | 22 | 8 | 6 | 8 | 27-25 | 30 |
| 10.ეიბარი | 22 | 7 | 8 | 7 | 29-30 | 29 |
| 11.ესპანიოლი | 23 | 8 | 4 | 11 | 27-37 | 28 |
| 12.ლევანტე | 22 | 7 | 6 | 9 | 32-40 | 27 |
| 13.ბილბაო | 22 | 5 | 11 | 6 | 23-28 | 26 |
| 14.ლეგანესი | 22 | 6 | 8 | 8 | 22-27 | 26 |
| 15.ვალიადოლიდი | 23 | 6 | 8 | 9 | 19-28 | 26 |
| 16.ხირონა | 23 | 5 | 9 | 9 | 23-33 | 24 |
| 17.სელტა | 23 | 6 | 6 | 11 | 35-39 | 24 |
| 18.რაიო | 23 | 6 | 5 | 12 | 27-40 | 23 |
| 19.ვილიარეალი | 23 | 3 | 11 | 9 | 23-31 | 20 |
| 20.უესკა | 23 | 4 | 6 | 13 | 23-39 | 18 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ელჩე-ოვიედო ..................... 1:2
ესტრემადურა-მაჰადაონდა ..................... 1:1
ტენერიფე-კორდობა ..................... 0:2
ლუგო-სარაგოსა ..................... 1:2

**გერმანია. ბუნდესლიგა**

დორტმუნდი-ჰოფენჰაიმი ..................... 3:3
გლადბახი-ჰერტა ..................... 0:3
ჰანოვერი-ნიურნბერგი ..................... 2:0
ლაიპციგი-აინტრახტი ..................... 0:0
ფრაიბურგი-ვოლფსბურგი ..................... 3:3
ბაიერნი-შალკე ..................... 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 21 | 15 | 5 | 1 | 54-23 | 50 |
| 2.ბაიერნი | 21 | 14 | 3 | 4 | 47-24 | 45 |
| 3.გლადბახი | 21 | 13 | 3 | 5 | 41-21 | 42 |
| 4.ლაიპციგი | 21 | 11 | 5 | 5 | 38-18 | 38 |
| 5.აინტრახტი | 21 | 9 | 6 | 6 | 40-27 | 33 |
| 6.ლევერკუზენი | 21 | 10 | 3 | 8 | 37-32 | 33 |
| 7.ვოლფსბურგი | 21 | 9 | 5 | 7 | 32-30 | 32 |
| 8.ჰერტა | 21 | 8 | 7 | 6 | 34-31 | 31 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 21 | 7 | 9 | 5 | 41-32 | 30 |
| 10.ვერდერი | 20 | 7 | 6 | 7 | 32-32 | 27 |
| 11.მაინცი | 21 | 7 | 6 | 8 | 23-33 | 27 |
| 12.ფრაიბურგი | 21 | 5 | 8 | 8 | 29-37 | 23 |
| 13.შალკე | 21 | 6 | 4 | 11 | 25-32 | 22 |
| 14.ფორტუნა | 20 | 6 | 4 | 10 | 22-39 | 22 |
| 15.აუგსბურგი | 20 | 4 | 6 | 10 | 29-33 | 18 |
| 16.შტუტგარტი | 20 | 4 | 3 | 13 | 17-44 | 15 |
| 17.ჰანოვერი | 21 | 3 | 5 | 13 | 20-44 | 14 |
| 18.ნიურნბერგი | 21 | 2 | 6 | 13 | 17-46 | 12 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ბოხუმი-პადერბორნი ..................... 1:2
ფიურტი-დუისბურგი ..................... 1:0
უნიონი-ზანდჰაუზენი ..................... 2:0

**იტალია. სერია ა**

ფიორენტინა-ნაპოლი ..................... 0:0
პარმა-ინტერი ..................... 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 22 | 19 | 3 | 0 | 46-15 | 60 |
| 2.ნაპოლი | 23 | 16 | 4 | 3 | 42-18 | 52 |
| 3.ინტერი | 23 | 13 | 4 | 6 | 32-16 | 43 |
| 4.რომა | 23 | 10 | 8 | 5 | 44-30 | 38 |
| 5.ლაციო | 23 | 11 | 5 | 7 | 32-25 | 38 |
| 6.მილანი | 22 | 9 | 9 | 4 | 29-21 | 36 |
| 7.ატალანტა | 22 | 10 | 5 | 7 | 48-30 | 35 |
| 8.სამპდორია | 22 | 9 | 6 | 7 | 39-29 | 33 |
| 9.ფიორენტინა | 23 | 7 | 11 | 5 | 33-25 | 32 |
| 10.ტორინო | 22 | 7 | 10 | 5 | 27-22 | 31 |
| 11.სასუოლო | 22 | 7 | 9 | 6 | 34-33 | 30 |
| 12.პარმა | 23 | 8 | 5 | 10 | 24-31 | 29 |
| 13.ჯენოა | 22 | 6 | 6 | 10 | 29-39 | 24 |
| 14.სპალი | 22 | 5 | 7 | 10 | 19-30 | 22 |
| 15.კალიარი | 22 | 4 | 9 | 9 | 19-31 | 21 |
| 16.უდინეზე | 22 | 4 | 7 | 11 | 18-30 | 19 |
| 17.ემპოლი | 23 | 4 | 6 | 13 | 27-45 | 18 |
| 18.ბოლონია | 22 | 3 | 8 | 11 | 17-34 | 17 |
| 19.ფროზინონე | 22 | 2 | 7 | 13 | 16-43 | 13 |
| 20.კიევო | 23 | 1 | 9 | 13 | 19-47 | 9 |

**შენიშვნა: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა**

**იტალია. სერია ბ**

კრემონეზე-პადოვა ..................... 0:0
პერუჯა-პალერმო ..................... 1:2
ჩიტადელა-სპეცია ..................... 0:1
ბრეშა-კარპი ..................... 3:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

პსჟ-ბორდო ..................... 1:0
ამიენი-კაენი ..................... 1:0
სტრასბური-ანჟე ..................... 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 22 | 19 | 2 | 1 | 68-13 | 59 |
| 2.ლილი | 23 | 14 | 4 | 5 | 40-22 | 46 |
| 3.ლიონი | 23 | 12 | 7 | 4 | 38-26 | 43 |
| 4.სტ.ეტიენი | 22 | 10 | 7 | 5 | 33-26 | 37 |
| 5.მარსელი | 24 | 11 | 4 | 9 | 38-34 | 37 |
| 6.მონპელიე | 22 | 9 | 9 | 4 | 29-17 | 36 |
| 7.სტრასბური | 23 | 9 | 8 | 6 | 39-27 | 35 |
| 8.რეიმსი | 23 | 8 | 10 | 5 | 20-21 | 34 |
| 9.ნიცა | 23 | 9 | 7 | 7 | 18-23 | 34 |
| 10.რენი | 23 | 9 | 6 | 8 | 31-31 | 33 |
| 11.ნიმი | 23 | 8 | 6 | 9 | 31-33 | 30 |
| 12.ანჟე | 24 | 7 | 9 | 8 | 26-28 | 30 |
| 13.ბორდო | 23 | 7 | 7 | 9 | 23-25 | 28 |
| 14.ტულუზა | 23 | 6 | 8 | 9 | 22-33 | 26 |
| 15.ნანტი | 22 | 6 | 6 | 10 | 27-29 | 24 |
| 16.ამიენი | 24 | 6 | 3 | 15 | 19-38 | 21 |
| 17.დიჟონი | 23 | 5 | 5 | 13 | 20-36 | 20 |
| 18.კაენი | 23 | 3 | 9 | 11 | 20-32 | 18 |
| 19.მონაკო | 23 | 4 | 6 | 13 | 21-39 | 18 |
| 20.გენგამი | 22 | 3 | 5 | 14 | 16-46 | 14 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ლანსი-მეცი ..................... 0:0

**ჰოლანდია. ეშედივიზიონი**

ჰერენვენი-ზვოლე ..................... 1:1
ერაკლესი-აიაქსი ..................... 1:0
ვენლო-ტილბურგი ..................... 2:1
ფეინოორდი-გრააფსხაპი ..................... 4:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

მარიტიმუ-ავიში ..................... 0:1
პორტიმორენშე-რიუ ავე ..................... 0:1
ტონდელა-გიმარაეში ..................... 1:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ბაზელი-სტ.გალენი ..................... 1:1
ციურიხი-გრასჰოპერსი ..................... 3:1

**ციურიხის პირველი გოლი ლევან ხარაბაძემ გაიტანა**

**ბელგია. ა დივიზიონი**

შარლერუა-ოსტენდე ..................... 1:1
სტ.ტრუიდენი-ვაასლანდი ..................... 2:1
ეუპენი-კორტრაიკი ..................... 0:1
ლოკერენი-ანტვერპენი ..................... 2:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პანიონიოსი-აპოლონი ..................... 0:1
ქსანთი-ლამია ..................... 0:0
იანინა-პანათინაიკოსი ..................... 1:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ბაშაქშეჰირი-ერზრუმი ..................... 1:1
რიზე-ანთალია ..................... 1:1
ბეშიქთაში-ბურსა ..................... 2:0

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ზლინი-სლოვაცკო ..................... 0:1
კარვინა-ოპავა ..................... 1:1
ბოლესლავი-პლზენი ..................... 1:1
ლიბერეცი-პრჟიბრჟამი ..................... 4:0
სლავია-ტეპლიცე ..................... 2:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

სლასკი-სოსნოვიცე ..................... 2:0
კრაკოვია-პიასტი ..................... 2:1
ლეხია-პოგონი ..................... 2:1

**დანია. სუპერლიგა**

ვეილე-სონდერიისკე ..................... 2:0

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# თსუ-ჰიუნდაის პირველი ტიტული

**დელტა-თსუ ჰიუნდაი 77:89**
**(14:31, 23:18, 20:21, 20:19)**

ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალის გამარჯვებული თსუ-ჰიუნდაი გახდა. ნიკოლოზ ჩერქეზიშვილისა და ირაკლი ძიძიგურის გაწვრთნილმა გუნდმა ფინალურ მატჩში თბილისის დელტა დამარცხა და არსებობის განმავლობაში პირველი ტიტული მოიგო.

ოლიმპიური ჩემპიონების მემორიალი მათ მშობლიურ ქალაქ ქუთაისში გაიმართა. ტურნირში სუპერლიგის 8 გუნდი მონაწილეობდა, რომლებიც 2 ჯგუფში იყვნენ განაწილებულნი. თსუ-ჰიუნდაიმ და დელტამ ჯგუფში სამივე მატჩი მოიგეს და ფინალში გავიდნენ.

სატიტულო მატჩი ვერ გამოდგა ისეთი დაძაბული, როგორიც ფინალს შეეფერება. მართალია, ჩამორჩენილი გუნდი ნიადაგ წამოწევას ცდილობდა, თუმცა თავიდანვე დაწინაურებული თსუ-ჰიუნდაი იმდენად კარგად და შედეგიანად თამაშობდა, რომ მეტოქე ახლოს არ მიუშვია. თსუ-ჰიუნდაელებმა პირველი პერიოდი 31:14 მოიგეს და გამარჯვებაზე სერიოზული განაცხადი გააკეთეს.

პირველი პერიოდის შემდეგ ტრავმებით დასუსტებულმა დელტამ თამაში გამოასწორა, მაგრამ არა იმდენად, რომ 17-ქულიანი ჩამორჩენა აღმოეფხვრა. ლექსო ლაფანაშვილის გაწვრთნილმა დელტელებმა მეორე მეოთხედი 23:18 მოიგეს და დიდი შესვენებისთვის დეფიციტი 12 ქულამდე შეამცირეს.

ანგარიშის გასათანაბრებლად ბრძოლა მესამე პერიოდიდანვე განახლდა, თუმცა თსუ-ჰიუნდაის მწვრთნელი მეტოქის გააქტიურებას წუთშესვენებებითა და სხვა ტაქტიკური მანევრებით ეწინააღმდეგებოდა და ეს კარგადაც გამოსდიოდა.

ამერიკელმა ლეგიონერმა კორი სანდერსმა, რომელიც თსუ-ჰიუნდაელებს მემორიალისთვის მეგა ბასკეტიდან ჰყავდათ დამატებული, არაერთი შესვლა შედეგიანად დააგვირგვინა, მას მხარს თანაგუნდელებიც წარმატებით უბამდნენ და მესამე პერიოდის 21:20 მოგების შემდეგ თსუ-ჰიუნდაიმ 13-ქულიანი ლიდერობა დაიბევა, რაც, ფაქტობრივად, მოგების ტოლფასი იყო. ჩერქეზიშვილის გაწვრთნილმა გუნდმა თამაში გამარჯვებამდე დამაჯერებლად მიიყვანა და არსებობის მანძილზე პირველი ტიტული მოიგო.

გამარჯვებულთა შორის საუკეთესო შედეგი ჰქონდა კორი სანდერსს, რომელმაც 20 ქულა, 10 პასი და 6 მოხსნა მოაგროვა. 17 ქულა მიითვალა ჯეიმს მილიკენმა. 12 ქულა დაგროვდა რატკო პეტრიჩის ანგარიშზე, ხოლო გიორგი კორსანტიამ გამარჯვებულებს 11 ქულა შესძინა. „დელტაში“ 18 ქულით ბომბარდირი გახდა ოთარ ფხაკაძე, გეგი ბაქრაძეს კი ორმაგ დუბლამდე მცირედი დააკლდა – 12 ქულა, 9 მოხსნა.



მატჩის დასრულების შემდეგ გაიმართა დაჯილდოების ცერემონიალი. ტურნირის საუკეთესო უკანახაზელი გახდა კორი სანდერსი, რომელიც ცნობილმა ვეტერანმა კალათბურთელმა, გივი ბიჭიაშვილმა დააჯილდოვა. საუკეთესო ფორვარდის პრიზი დელტას წევრმა – გეგი ბაქრაძემ დაიმსახურა, რომელსაც შესაბამისი პრიზი მსოფლიოს ჩემპიონმა ნიკოლოზ დერიუგინმა გადასცა.

დაბოლოს, თსუ-ჰიუნდაის კაპიტანმა კოკა ტომარაძემ ქორქია-საკანდელიძის თასი ზურაბ საკანდელიძის მეუღლისგან და ვეტერან კალათბურთელ ნოდარ ქორქიასგან ჩაიბარა და სტუდენტური გუნდი ქუთაისში ჩამოსულ საკუთარ ქომაგებთან ერთად პირველი ტურნირის აღნიშვნას შეუდგა.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## მაჩვი ლეოპარდს თავს დაესხა და თავისი ნაშიერი გადაარჩინა

სამხრეთ აფრიკის ეროვნულ პარკ კრიუგერში ტურისტები ლეოპარდისა და მაჩვის ორთაბრძოლის თვითმხილველები გახდნენ. გიდის საჰარა ვულფსონის მიერ გადაღებული ვიდეო იუთუბიზე გამოქვეყნდა.



ტურისტების თვალწინ ლეოპარდი მაჩვის ნაშიერს მიეპარა, რომელიც მშვიდად იჯდა და მოახლოებულ საფრთხეს ვერ ამჩნევდა, სანამ მტაცებელი მას თავს არ დაესხა. ხმაურმა პატარა მაჩვის დედის ყურადღება მიიპყრო. ის თავს დაესხა ლეოპარდს და, მიუხედავად იმისა, რომ მტაცებელი მას აშკარად აღემატებოდა ზომით, გააქცია.

ვულფსონის თქმით, პატარა მაჩვი ამ თავდასხმას გადაურჩა. ტურისტებმა ის მხედველობიდან მას შემდეგ დაკარგეს, რაც დედა მაჩვმა პირი ქეჩოში სტაცა და სოროსკენ გააქანა.

## ქორწილიდან დაბრუნებულ ოჯახს სახლში ლეოპარდი დახვდა

ინდოეთში ოჯახი ქორწილიდან დაბრუნდა და საკუთარ სახლში ლეოპარდი აღმოაჩინა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო, რომელიც თვითმხილველმა გადაიღო, ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ინციდენტი ტამილნადის შტატის სოფელ პატავიალში მოხდა. როდესაც სახლის პატრონები დაბრუნდნენ, მათ საძინებელში ლეოპარდი დახვდათ. ისინი იმწამსვე გამოცვივდნენ ოთახიდან, კარი გარედან გადაკეტეს და მაშველები გამოიძახეს.

გადაღებულ კადრებში ჩანს, თუ როგორ ფრთხილად შედიან შენობაში სატყეო მეურნეობის თანამშრომლები. ისინი ფარნებით ანათებენ ოთახს და შექმნილ მდგომარეობას აფასებენ. ამ დროს კი სახლის გარშემო ხალხია შეგროვილი და მოვლენების განვითარებას ფანჯრებიდან აკვირდებიან.

მეტყევეებმა მტაცებლის დაჭერა და მისი სოფლიდან მშვიდობიანად გაყვანა მოახერხეს.

## სტუდენტმა პლაჟზე იურული პერიოდის გადაშენებული ზღვის არსება ნახა



დიდი ბრიტანეთის მცხოვრებმა ქვაში ჩამალული იურული პერიოდის უიშვიათესი არსება აღმოაჩინა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

22 წლის აარონ სმიტმა ინგლისის ქალაქ უიტბის პლაჟზე სეირნობის დროს მზეზე მბზინვარე ქვა შენიშნა და მან გადაწყვიტა, რომ ის რაღაც საინტერესოს წარმოადგენდა.

კადრებში ჩანს, თუ როგორ ფრთხილად ხსნის ქვას სმიტი და მოჩანს სპირალისმაგვარი ამონიტი Cleviceras (თავფეხიანი მოლუსკების გადაშენებული გვარი), რომელიც 185 მილიონი წლისაა.

## ქალს პუმა ძაღლში აერია და კინაღამ სიცოცხლეს გამოესალმა



აშშ-ის მცხოვრები ქალბატონი თავისი ძაღლისა და პუმის დაპირისპირებაში ჩაერია. მას მტაცებელი ცხოველი ძაღლი ეგონა.

ინციდენტი ქალაქ მაკეიში დილის საათებში მოხდა. ქალმა შენიშნა, რომ მისი ძაღლი სხვა ცხოველს ებრძოდა, რომელიც სხვა ძაღლი ეგონა და მათ გაშველებას შეეცადა. მან უცნობი ცხოველი ხელში აიყვანა და მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ ხელში პუმა ეჭირა.

ქალმა ყვირილი დაიწყო და მშველელს უხმობდა. მტაცებელმა ის ძლიერ დააშავა, თუმცა მისი მეუღლის სწრაფმა რეაქციამ დაღუპვას გადაარჩინა. მამაკაცი სახლიდან თოფით გამოვარდა და პუმა მოკლა.

ამის შემდეგ ისინი ადგილობრივ სამართალდამცავ ორგანოებს დაუკავშირდნენ და მომხდარის შესახებ აცნობეს. ადგილზე მისულმა პოლიციელებმა ქალს ურჩიეს, სამედიცინო დაწესებულებისთვის მიემართა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ასტროპროგნოზი 11 თებერვლისთვის



**ვერძი** – დაძაბული პერიოდია. ინტრიგები დილიდანვეა მოსალოდნელი. უეცარი დაბრკოლება თქვენს საქმეებზე უარყოფითად აისახება. **კურო** – პლანეტა ვენერა რომანტიკულ ურთიერთობებში გეხმარებათ. განსაკუთრებით იღბლიანი დღეა ქალებისათვის. სიახლეების ნუ შეგეშინდებათ. **ტყუპები** – საქმიანი აქტივობისათვის შეუფერებელი დღეა. მოშურნეები ყველანაირად ხელს შეგიშლიან. საჭიროების შემთხვევაში დახმარებისთვის მეგობრებს მიმართეთ. **კირჩხიბი** – სიყვარულში ბედი გწყალობთ. დაივიწყეთ ყოველგვარი უსიამოვნება და დატკბით თითოეული წამით. **ლომი** – ხელმძღვანელობასთან და კოლეგებთან ცუდი ურთიერთობა გაქვთ. ნუ აჰყვებით ჭორებს და ერიდეთ საქმის გარჩევებს. **ქალწული** – იღბალი თქვენ მხარესაა. რასაც ხელს მოჰკიდებთ, იდეალურად გამოგივათ. ახალი იდეების განხორციელება წარმატებას მოგიტანთ. **სასწორი** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ. **ღრიანკალი** – დაისვენეთ, ივარჯიშეთ. აქტიურობა სასიკეთოდ წაგადგებათ. ბუნების წიაღში გასვლა ნერვებს დაგიწყნარებთ. **მშვილდოსანი** – თქვენთვის დამახასიათებელი კომუნიკაბელურობის წყალობით საქმიანი პარტნიორების ყურადღებას მიიპყრობთ და ახალ მოკავშირეებსაც გაიჩენთ. გელით რომანტიკული თავგადასავალი. **თხის რქა** – მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება. ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **მერწყული** – ფინანსური საკითხები წარმატებით გადაწყდება. დაიცავით ზომიერება ნებისმიერი მოქმედებისას. **თევზები** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. კომერციული საქმიანობა რეკომენდებული არ არის. დიდია მოტყუების ალბათობა. სიჯიუტე და უხეშობა კონფლიქტამდე მიგიყვანთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# სკანვორდი



1. დიონისეს მხლებელი ავხორცი არსება ბერძნულ მითოლოგიაში; 2. ესპერანტოს ვარიანტი; 3. შესატყვისი, მსგავსი; 4. მხატვარი ... თოიძე; 5. კოლხი მედეას დედა; 6. ერთგვარი პეპელა; 7. ქიმიური ელემენტი (ლითონი); 8. საყანწე მასალა; 9. ქალბატონი (გერმანულად); 10. ხის ქერქქვეშ მკვრივი ნაწილი; 11. ქალაქი კოლუმბიაში; 12. მიმართვა ფრანგთა მეფისადმი; 13. ... მეღვინეთუხუცესი; 14. უქოჩრო თუთიყუში; 15. ამოსახსნელი მათემატიკური ამოცანა; 16. ნოტი; 17. სადეზინფექციო სითხე; 18. სახოტბო თხზულება (მის ავტორად ჩახრუხაძეა მიჩნეული); 19. საგრილობელი; 20. ასო „ნ“-ს სახელწოდება; 21. თავაზიანი მიმართვა იაპონიაში; 22. პატარა სამგზავრო ჭურჭელი წყლისთვის; 23. თაფლითა და ქიშმიშით შეზავებული მოხარშული ხორბალი; 24. იზაბელ ...; 25. იაპონიის ფულის ერთეული; 26. ეგვიპტელთა მზის ღვთაება; 27. ფრანგი მწერალი (1862-1941); 28. მარტი ძველქართულად; 29. საცალფეხო გზა; 30. „მე, ბებია, .... და ილარიონი“; 31. იტალიელი ფერმწერი (1573-1610); 32. თიხის ან ფაიფურის პატარა ჩასაბერი საკრავი; 33. ხმის გამოძახილი.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. უშტი; 2. რიონი; 3. ელინგი; 5. ოდიში; 6. საფერავი; 8. სარწყუნისი; 10. აზურიტი; 12. ხილნარი; 14. ფელახი; 15. ვალიზა; 16. უწერა.

**თარაზულად:** 1. უშქარი; 4. კოდექსი; 7. სტოუნი; 9. გოდინი; 11. პრიკაზი; 12. ხაბელოვი; 13. ორვილე; 17. ბრეცია; 18. ეირე; 19. ბრილიანტი; 20. პირამიდა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჯამე; 2. ინა; 3. მალევიჩი; 4. დო; 5. ლიმონათი; 6. პაპი; 7. გიენოსი; 10. ზღვა; 11. პართენონი; 12. სათაფლია; 13. ვერე; 16. მთიელი; 18. დრენაჟი; 19. ისინდი; 21. ძეხვი; 24. ტოკაი.

**თარაზულად:** 1. ჯეირანი; 3. მოსადი; 8. აიმაკი; 9. მუზა; 14. კვოტა; 15. პერონი; 17. თუჯი; 20. ჩხეიძე; 22. თართი; 23. სოფიტი; 25. მეი; 27. ანსა; 28. კარნავალი.

## შვედეთის მეფის მოპარულ ძვირფასეულობას მიაგნეს



შვედმა სამართალდამცავებმა მეფე კარლ IX-ისა და მისი მეუღლის გვირგვინსა და კვერთხს მიაგნეს, რომლებიც დაახლოებით ექვსი თვის წინ გაიტაცეს.

სამეფო ოჯახის ძვირფასეულობას, რომლებიც ქვეყანას XVII საუკუნის დასაწყისში მართავდნენ, სტოკჰოლმის რაიონში მიაგნეს. მომხდარის თაობაზე დაწვრილებით ინფორმაციას მას შემდეგ გაავრცელებენ, როდესაც ექსპერტიზა რელიკვიების ნამდვილობას დაადასტურებს. ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გვირგვინი და კვერთხი ნაგვის ბუნკერში იყო მოთავსებული წარწერით „ბომბი“.

შეგახსენებთ, რომ სამეფო ძვირფასეულობის ქურდობა 2018 წლის 31 ივლისს მოხდა, ბოროტმოქმედებმა ქალაქ სტრენგბესის კათედრალურ ტაძარში ვიტრინა ჩაამსხვრიეს და ორი ოქროს გვირგვინი და კვერთხი აიღეს. ისინი 65 მილიონ შვედურ კრონად არის შეფასებული.

## სხვენში ნაპოვნი ვაზა ასობით ათას ფუნტად გაიყიდა



დიდი ბრიტანეთის საგრაფო დევონის მკვიდრის სახლის სხვენში მრავალი წლის მანძილზე მტვრით დაფარული ჩინეთის იმპერატორის ვაზა აუქციონზე 460 ათას ფუნტ სტერლინგად გაიყიდა.

ქალს აღნიშნული რელიკვია დეიდისგან ენი გლოვერისგან, რომელიც ახალგაზრდობაში შანხაიში მასწავლებლად მუშაობდა და ამტკიცებდა, რომ ეს ნივთი მას აჩუქეს, მემკვიდრეობით ერგო.

— ჩვენ არ ვიცით, როდის და როგორ დატოვა ვაზამ სასახლე, მაგრამ მის გლოვერმა ის დიდ ბრიტანეთში 1922 წელს, მეუღლის ნაადრევი გარდაცვალების შემდეგ ჩამოიტანა, — განაცხადა აუქციონისტმა ნიკ სეინტიმ.

ქალის ნათესავი ვერ ხვდებოდა ამ ნივთის ფასს, სანამ შესაფასებლად ექსპერტს არ მიმართა. მან დამახასიათებელი ნახატები იცნო და განსაზღვრა, რომ ვაზა იმპერატორ ციანლუნისთვის 1780-დან 1790 წლამდე წლებში იყო დამზადებული. ვაზას ერთ-ერთ სახელურზე მცირე დაზიანება ჰქონდა, სხვა მხრივ კი ის ურიგოდ არ იყო შემონახული.

ექსპერტი ვარაუდობდა, რომ მასში 20-დან 40 ათას ფუნტ სტერლინგამდე თანხას გადაიხდიდნენ. აუქციონზე კი თანხა 460 ათას ფუნტ სტერლინგამდე გაიზარდა. მისი მყიდველი ჩინელი კოლექციონერი აღმოჩნდა.

## მშიერი ლომი სპლიყვზე თავდასხმას ემსხვერპლა



ზამბიის ეროვნულ პარკ სამხრეთ ლუანგვაში მშიერი ლომი თავს დაესხა სპილოს ნაშიერს. რამდენიმე საათის შემდეგ კი ის მკვდარი იპოვეს.

სპლიყვმა გადარჩენა თავისი წონის უპირატესობის ხარჯზე მოახერხა. ის მთელი თავისი სხეულით ლომს ზევიდან დააწვა და მიწაზე გართხმულს მანამდე აკავებდა, სანამ მან თავდასხმის ადგილის დატოვება არ გადაწყვიტა.

გარეული ცხოველების ბრძოლის ამსახველი იშვიათი კადრები კანადელ ფოტოგრაფ ნიუ-ჯეი უაიტს ეკუთვნის. სურათებზე ჩანს, თუ როგორ აკავებს მიწაზე სპლიყვი ლომს, რომელიც წინააღმდეგობის გაწევას ცდილობს. შემდეგ ის მტაცებელს მისდევს და თავდასხმის ადგილიდან აგდებს.

— ძალიან მძიმე იყო იმის ყურება, თუ როგორ იბრძვიან ცხოველები საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად, — ყვება უაიტი, — განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი ჯერ ახლა იწყებს ცხოვრებას, მეორე კი უკვე ბებერია.

კანადელი ფოტოგრაფის თქმით, მან ძალზე გამხდარი ლომი ჯერ კიდევ პარკში მოგზაურობის დროს შენიშნა. ის წყალსატევთან მზის დილის სხივებს ეფიცხებოდა.

— ის ისეთი გამხდარი იყო, რომ გვერდებზე ნეკნები ემჩნეოდა, ალბათ, რამდენიმე დღის მშიერი იქნებოდა. როდესაც გზა გავაგრძელეთ, შემეძლო დამეფიცებინა, რომ მას დიდი ხნის სიცოცხლე აღარ ეწერა, — განაცხადა დასასრულს ფოტოგრაფმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სამგლოვიარო განცხადებები

### კარლო ამირშადიანის მონატრება



როგორ უცებ გაიარა უსაშველო მონატრების ორმოცმა დღემ. ნათესავების, მეგობრების მოსიყვარულემ, მეზობლების დამხმარემ, ჭირსა და ლხინში გვერდით მდგომმა, ყველას გვატკინე გული. წახვედი და კაიკაცობის, ერთგულების, სიკეთის მაგალითი დაგვიტოვე.

ჩვენო კარლო, შენთან ერთად ვლოცულობთ შენი ცოლისდის — მიმოზა მიქაიას სულის ცხონებისათვის, რომელიც ცხრა თვის წინ ნაადრევად გამოგვეცალა...

რა ძნელი ყოფილა საყვარელ ადამიანებთან განშორება. მხოლოდ მოგონებაღა დაგვრჩენია თქვენზე და უსაზღვრო მონატრება...

ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი კეთილი სული, რომელიც არასდროს მიგვატოვებს.

*მეუღლე რუსუდანი, შვილი ნინო*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## სანდრო მიკუჩაძე საავადმყოფოში მოხვდა



რუსთაველის თეატრის მსახიობი სანდრო მიკუჩაძე საავადმყოფოში მოხვდა.

ინფორმაცია ამის შესახებ მისმა მეუღლემ, ტელეწამყვანმა და ჟურნალისტმა თამუნა მუსერიძემ გაავრცელა.

როგორც თამუნამ განაცხადა, მსახიობის ხეჩინაშვილის კლინიკაში მოხვედრის მიზეზი ტვინის შერყევა გახდა.

## მარკუს მეტრეველს დეზინფორმაციას უვრცელებენ




მომღერალი მარკუს მეტრეველი უკვე მიეჩვია, რომ მუდმივად ყურადღების ცენტრშია და ხშირად მის შესახებ არასწორი ინფორმაციებიც ვრცელდება, თუმცა შემთხვევა, რომელმაც მომღერალი გაამწარა, ყველანაირ ლოგიკას მოკლებულია.

ს ო ც ი ა ლ უ რ ქსელში გვერდმა „წერილები ბრმებზე — თვალხილულთა ჭკუის სასწავლებლად“ მომღერლის ფოტო გამოაქვეყნა წარწერით:

„გოგონებს საკუთარი თმით თამაში იმიტომ უყვართ, რომ ყ..რები არ აქვთ“.

**მარკუს მეტრეველი:**

— ზოგადად ჩემს გვერდზე მსგავსი ნაგავი რომ დევს, უკვე ჩემი შეურაცხყოფაა მაგრამ ამასაც გადავიტან! ძალიან გთხოვთ ეს ფსევდო გვერდი დაარეპორტეთ, მეგობრებო, რომელიც ჩემზე ცრუ ინფორმაციებს ავრცელებს და ხალხს ალანძღვინებს ჩემს სახელს!

## „საქართველოს ვარსკვლავი“ იკაკო ალექსიძემ დატოვა



მუსიკალური შოუს „საქართველოს ვარსკვლავის“ მესამე ტურიდან კონკურსანტებს იკაკო ალექსიძე გამოეთიშა.

შოუს მონაწილეებმა ცნობილი ქართული სიმღერების ახლებური ვერსიები შეასრულეს.

მაყურებლის გადაწყვეტილებით, ყველაზე ცოტა ხმა იკაკო ალექსიძემ დააგროვა და შოუს მიღმა აღმოჩნდა.

„ევროვიზია 2019“-ზე მოსახვედრად ბრძოლას აგრძელებენ ოთო ნემსაძე, გიორგი ფრუიძე, თამარ ლაჭყეპიანი, ნინი ცნობილაძე, გიორგი ნაკაშიძე და ლიზა კალანდაძე.

## გიორგი კალანდია ტელევიზიას დაუბრუნდა

ისტორიკოსი გიორგი კალანდია 10-წლიანი პაუზის შემდეგ ტელევიზიას დაუბრუნდა.



ამიერიდან იგი ტელეკომპანია „იმედში“ დილის გადაცემის ერთ-ერთ რუბრიკას პირდაპირ ეთერში გაუძღვება.

„ამბები ხელოვნების სასახლიდან“ — ასეთია რუბრიკის სახელწოდება, რომლის პირველი თემაც იყო „როდის გამოჩნდა პირველად სხვადასხვა რუკებზე საქართველო?“

**გიორგი კალანდია:**

— 10-წლიანი პაუზის შემდეგ პირველად პირდაპირი ეთერი საკუთარი რუბრიკით. მაგრა ვნერვიულობდი... 10 წლის შემდეგ კვლავ იმედში, პირდაპირი ეთერი და საკუთარი რუბრიკა, პირველ ეთერს ყოველთვის განსაკუთრებული ღელვა და ნერვიულობა მოსდევს. თუმცა აქ არის საოცარი გუნდი, პროფესიონალები, კეთილგანწყობილები და მხარდამჭერები! იმედი გაძლიერებს! განსაკუთრებული მადლობა თამარ ღვინიანიძეს, რომელმაც ჩემი დიდი ხნის ოცნება ამიხდინა! მაშ ასე, ჩემი პირველი პირდაპირი ეთერი დიდი ხნის შემდეგ, ნუ იქნებით განსაკუთრებულად კრიტიკულები და იმის იმედიც მაქვს, რომ „ამბები ხელოვნების სასახლიდან“ თქვენთვის საინტერესო იქნება.

## ფილმ „ნამეს“ ოპერატორი გიორგი შველიძე ამერიკის კინემატოგრაფისტთა საზოგადოების მთავარი პრიზის მფლობელი გახდა



ზაზა ხალვაშის ფილმ „ნამეს“ ოპერატორი გიორგი შველიძე ამერიკის კინემატოგრაფისტთა საზოგადოების რიგით 33-ე დაჯილდოების მთავარი პრიზის მფლობელი გახდა.

წლის აღმოჩენის სექციაში გიორგი შველიძეს ორი კონკურენტი ჰყავდა. ამერიკის კინემატოგრაფისტთა საზოგადოებამ გამარჯვებული გამოავლინა და მათ შორის ქართველიც მოხვდა.

გამარჯვების შემდეგ გიორგი შველიძემ პირველი ინტერვიუ უცხოურ მედიას მისცა და განაცხადა, რომ ეს გამარჯვება არა მხოლოდ მისი, არამედ სხვა კინემატოგრაფისტების გამარჯვებაცაა და სტიმულია, აკეთონ საკუთარი საქმე.

რეჟისორ ზაზა ხალვაშის „ნამე“ არაერთი ფესტივალის გამარჯვებულია. ფილმი საქართველომ „ოსკარზეც“ წარადგინა, თუმცა ის საუკეთესო ფილმების ჩამონათვალში ვერ მოხვდა.

## ბორჯომში უძველესი თაფლი აღმოაჩინეს



ბორჯომში, სოფელ საკირეში, არქეოლოგებმა გათხრების შედეგად უძველესი თაფლი აღმოაჩინეს.

**ინფორმაცია გეგა ხვედელიძემ გაავრცელა:**

— ბორჯომში, სოფელ საკირეში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოაჩინეს უძველესი თაფლი. რამდენიმეწლიანი ლაბორატორიული კვლევების შედეგად დადასტურდა, რომ თაფლი 5500 წლის წინანდელია. ასევე მეცნიერები გვიდასტურებენ, რომ თაფლი არის მოშინაურებული ფუტკრისგან დამზადებული და არა ველური. აქამდე თაფლის უძველეს კერად ეგვიპტე ითვლებოდა, რადგან 3000 წლის წინანდელი თაფლი ტუტანჰამონის საფლავში აღმოაჩინეს და მისი ანალოგი არ მოიძებნებოდა.

ბორჯომში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა კვლევამ კი დაადასტურა, რომ საქართველო არა მხოლოდ ვაზის, არამედ თაფლის სამშობლოც არის.

## პირველი არხის თანამშრომელ მარიამ ჭელიძეს დახმარება სჭირდება



პირველი არხის თანამშრომელს მარიამ ჭელიძეს დახმარება სჭირდება. ის რამდენიმე წელია, მძიმე დაავადებას ებრძვის.

ბოლოს ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ მარიამს აქვს აგრესიული ფორმის მეტასტაზი, რისთვისაც საჭიროა სასწრაფო ქირურგიული ჩარევა.

ოპერაციისთვის საჭიროა 7.500 დოლარი. დახმარების მსურველებისთვის თიბისი ბანკში მარიამ ჭელიძის სახელზე სპეციალური ანგარიშია გახსნილი.

## სოფი ვილი თავშესაფრის ბავშვებისთვის მუსიკალურ ინსტრუმენტებს აგროვებს



**მომღერალი სოფი ვილი, იგივე სოფო ხუციშვილი, მუსიკოსებისგან დახმარებას ითხოვს:**

— თბილისში მდებარე ბავშვთა თავშესაფარ „ბედნიერებისთვის“ ვაგროვებთ მუსიკალურ ინსტრუმენტებს.

ჩვენი შეხვედრა დეკემბერში ძალიან ემოციური იყო. ბავშვების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ჩემს გიტარაზე დავაკვრევინე თითოეულს.

ვფიქრობ, ძალიან დიდი მოტივაცია და მათთვის ახალი ეტაპი იქნება მუსიკასთან დაახლოება. თუ გაქვთ ისეთი ინსტრუმენტები: გიტარა, პერკუსია, სინთეზატორი, ა.შ. რომლებსაც არ იყენებთ და უბრალოდ ამტვერებთ თაროზე ან კარადის თავზე, გთხოვთ შემეხმიანეთ მე ან სერგი გვარჯალაძეს. წინასწარ მადლობა.

## ლადო ბურდული საქსოფონისტ სანდრო კაპანაძის შეწყალებას ითხოვს



მუსიკოსი და მომღერალი ლადო ბურდული საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილისგან საქსოფონისტ სანდრო კაპანაძის შეწყალებას ითხოვს.

ამ მოთხოვნით ინტერნეტში სპეციალური პეტიციაც გაჩნდა, სადაც სანდროს გათავისუფლების მსურველები ხელს აწერენ.

**ლადო ბურდული:**

— ჩემი პირადი თხოვნა თქვენ: კირპიჩა, სანდრო კაპანაძე, ჯგუფ „რეცეპტის“ საქსოფონისტი და ჩემი უმცროსი ძმა, ქართული ალტერნატიული მოძრაობის ერთ-ერთი იდეური აქტივისტი და ნიჭიერი ტელერეჟისორი.

გთხოვთ, არ დაიზაროთ და დაუჭიროთ მხარი ჩვენს ძმასა და მეგობარს.

ასეთი ნიჭიერი ხალხი მარიხუანის მოხმარებისთვის არ უნდა იჯდეს ციხეში. ისინი უფრო რეალურ ცხოვრებაში არიან საჭირო.

## მარიამ მამადაშვილი ბროდვეიზე მიიწვიეს



საბავშვო ევროვიზიის გამარჯვებული, მომღერალი მარიამ მამადაშვილი ბროდვეიზე მიიწვიეს, სადაც მისი დებიუტი შოუსპექტაკლში წარმატებით შედგა.

სპექტაკლს ამერიკაში მცხოვრები ქართველი ოპერის მომღერალი ბექა გოგინაშვილი პირადად დაესწრო და თავისი შთაბეჭდილებები გაგვიზიარა:

— დავესწარი ჩვენი, საქართველოს სიამაყე ბავშვის, მარიამ მამადაშვილის დებიუტს ბროდვეის შოუსპექტაკლში.

ეს ბავშვი გახლავთ საქართველოს სახელით უკვე გამარჯვებული ევროვიზიის ცნობილ კონკურსზე. თუმცა, რაც ვნახე, კიდევ ერთი დადასტურებაა მისი სწორად და პროფესიონალურ დონეზე განვითარების. რეალურად, ლაივში მოვისმინე ბავშვის შესაძლებლობები, რომელიც მის ასაკთან შედარებით გაცილებით დიდი მასშტაბისაა. მინდა, დიდი წარმატებები ვუსურვო მარიამს და მივულოცო ყველა მისი ოჯახის წევრს, რომლებიც დღეს ამაყები და ყველაზე ბედნიერები იყვნენ...

მიხარია, რომ მოვახერხე მარიამის ამერიკული და მსოფლიო კარიერის მნიშვნელოვან მომენტში ჩვენი ერთად გადაღება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

11 თებერვლისთვის

აშშ დოლარი — 2.6461

ევრო — 2.9996

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4296

100 რუსული რუბლი — 4.0075

## ამინდის პროგნოზი 11 თებერვლისთვის




„ახალი თაობა“
წარმოგიდგენთ სერიას
„მე მიყვარს კითხვა“

5 თებერვლიდან
ჰენრი რაიდერ ჰაგარდი
მონტესუმას ასული




ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

12 თებერვლიდან
სულხან საბა ორბელიანი
სიბრძნე სიცრუისა




ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

„ახალი თაობა“
წარმოგიდგენთ სერიას
მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

15 თებერვლიდან
გუსტავ ფლობერი
მადამ ბოვარი




ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი




7 თებერვლიდან
მაია ბურჭულაძე
უფასო ბილეთი წარსულში
ორშაბათის სიზმარი
ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

## იუმორი

საავადმყოფოს დერეფანში საოპერაციოს კართან მამაკაცი ნერვულად დადის წინ და უკან. ბოლოს, როგორც იქნა, კარი გაიღო, ქირურგი გამოვიდა და ეუბნება:

– თქვენთვის ცუდი ამბავი მაქვს. ოპერაციის მესამე საათზე დედათქვენი...

– ექიმო, ის დედაჩემი კი არა, ჩემი სიდედრია!

– მაშინ თქვენთვის კარგი ამბავი მაქვს. ოპერაციის მესამე საათზე...

●●●

ქმარი ერთკვირიანი დროსტარების შემდეგ სახლში ბრუნდება და ცოლს ეუბნება:

– ორი ახალი ამბავი მაქვს, ცუდი და კარგი, რომლით დავიწყო?

– ცუდით დაიწყე.

– მთელი ჩვენი ქონება კაზინოში წავაგე.

– და კარგი რაღაა?

– კაზინო ჩემი აღმოჩნდა.

●●●

სტუდენტი შვილი მამის წერილს იღებს და კითხულობს:

– შვილო, გიგზავნი ათ ლარს, როგორც შენ მთხოვდი, მხოლოდ დაიმახსოვრე, რომ ათი ლარი ერთი ნულით იწერება და არა ორით!

●●●

პუტკუნა გოგონა გამხდარ თანაკლასელ გოგონას უყვება:

– გუშინ მამასთან ერთად რესტორანში ვიყავი, რა აღარ გავსინჯე, ომარები, ლანგეტი, ბარბექიუ! იმდენი ვჭამე, იმდენი, რომ კინაღამ გავსკდი!

– და რატომ კინაღამ? რა, მამაშენს ფული არ ეყო?

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეკითხება:

– გოგო, შენ ისევ ფეხმძიმედ ხარ?

– ჰო.

– ვისგან?

– ჩემი ყოფილი ქმარი მოვიდა იმისთვის ბოდიშის მოსახდელად, რომ ორ ბავშვთან ერთად მიმატოვა.

●●●

რუსს ეკითხებიან:

– შენი ქვეყნის პატრიოტი ხარ?

– დიახ.

– მაშინ რატომ დადიხარ უცხოური და არა სამამულო წარმოების მანქანით?

– თქვენ პატრიოტიზმს იდიოტიზმში ნუ ურევთ!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ქალს 11 წელი ყურში ტყვია ჰქონდა გაჭედილი



დიდი ბრიტანეთის მკვიდრმა ქალბატონმა 11 წელი ყურით ტყვია ატარა. მთელი ამ დროის განმავლობაში ის ცუდ სმენას უჩიოდა.

28 წლის ჯეიდ ჰარისი იძულებული იყო, ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ტელევიზორისთვის ხმა ბოლომდე აეწია, რათა რამე მოესმინა და მაშინაც გვერდით მყოფთ სთხოვდა, ტელევიზორში ნათქვამი მისთვის გაემეორებინა.

– თავად ძალიან ხმამაღლა ვლაპარაკობდი, ვინაიდან სხვანაირად საკუთარი ხმა არ მესმოდა, – აღიარა ჰარისმა.

ნაცნობები ხშირად ხუმრობდნენ მის ცუდ სმენაზე და ურჩევდნენ, ყურის სპეციალისტისთვის მიემართა. 2018 წლის ივლისში ჰარისი მარჯვენა ყურში წყლის მოხვედრის გამო საავადმყოფოში აღმოჩნდა. ექიმებმა მისი მარცხენა ყურიც შეამოწმეს და ყურების არხების ნადებისგან გაწმენდის პროცედურის გავლა ურჩიეს.

მიღებაზე ექიმმა ჰარისს განმეორებით გაუსინჯა ყურები და დაასკვნა, რომ ნადები არაფერ შუაში იყო და შიგნით რაღაც უცხო სხეული იყო გაჭედილი. სპეციალური მოწყობილობის დახმარებით, რომელიც მტვერსასრუტს წააგავდა, ექიმებმა უცხო საგნის ამოღება მოახერხეს.

აღმოჩნდა, რომ 11 წელი ჰარისი ყურში პლასტმასის ტყვიას ატარებდა.

– როგორც კი ის გადმოვარდა, თავი მაშინვე გაცილებით უკეთ ვიგრძენი და სმენაც მომენტალურად გამიუმჯობესდა, საკუთარი ხმაც სულ სხვაგვარად მესმოდა და ასევე უჩვეულო იყო ის, რომ ნიავს სმენით შევიგრძნობდი, – განაცხადა ბრიტანელმა.

როდესაც მან პლასტმასის ტყვია დაინახა, მხოლოდ მაშინ გაახსენდა, თუ როგორ მოხვდა ის მის ყურში.

– 11 წლის წინ ჩემთან მეგობრები დავპატიჟე. ჩვენ სათამაშო პისტოლეტებით დავრბოდით და სხვადასხვა მიმართულებით ვისროდით. როგორც მაშინ მომეჩვენა, ერთ-ერთი ტყვია ჭიქას მოხვდა, იქიდან ასხლტა, ყურში მომხვდა და იატაკზე დავარდა, – განმარტა ჰარისმა.

მისი თქმით, მაშინ ძალიან ეტკინა, თუმცა, ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ ვერც კი მიხვდა, როგორ შეუვარდა ტყვია ყურში. იმ დღის შემდეგ გოგონას ცხოვრება სრულიად შეიცვალა. ის აღარ დადიოდა აუზზე, გაურბოდა ხმაურიან თავყრილობებს, ვინაიდან ხმებს დიდი გაჭირვებით არჩევდა.

ახლა უკვე ჰარისმა სმენა სრულად აღიდგინა და ძალიან უხარია, რომ თავისი ბავშვების სიცილს ისმენს.

## ინდოელმა ახალ ბინაში მუმია აღმოაჩინა



ინდოეთში ახალ ბინაში გადასულმა მამაკაცმა საწოლის ქვეშ თეთრეულისთვის განკუთვნილ უჯრაში მუმია აღმოაჩინა.

რამვირ სინგხ რაჯპუტმა ბინა მადხია-პრადეშის შტატის ქალაქ ბხოპალში ჯერ კიდევ გასული წლის ივლისში შეიძინა, მაგრამ მთელი ამ დროის განმავლობაში იქ გადასვლას ვერ ახერხებდა. სახლის ყოფილმა მფლობელებმა ბინის დაცლისთვის დრო სთხოვეს, შემდეგ კი კარის გასაღებიც არ დაუტოვეს. მას დუბლიკატის დასამზადებლად ოფიციალური ნებართვის აღება მოუხდა.

რაჯპუტი ახალ ბინაში რამდენიმე დამლაგებლის თანხლებით შევიდა. დალაგების დროს ერთ-ერთმა მათგანმა საწოლის ქვეშ მდებარე უჯრაში მუმიფიცირებული სხეული აღმოაჩინა.

ადგილზე მისულმა პოლიციამ ცხედარი დაათვალიერა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ის დაახლოებით ნახევარი წლის წინ იქნა მუმიფიცირებული. პოლიციელების ვარაუდით, ის ქალის სხეული იყო, ხოლო მასზე ძალადობის კვალი ვერ აღმოაჩინეს.

დნმ-ის ანალიზმა აჩვენა, რომ ცხედარი ბინის ყოფილ მფლობელ ვიმლე შრივასტავეს ეკუთვნოდა. მისი 32 წლის შვილის, ემიტის ადგილსამყოფელი, რომელიც მასთან ერთად ცხოვრობდა, უცნობია. მეზობლებს ის გასული წლის ივნისის შემდეგ არ უნახავთ. ნათესავები ამტკიცებენ, რომ ემიტს მთელი რიგი ფსიქიკური აშლილობები აწუხებდა.

## გიგანტური ვეშაპის ქვეშ მოყოლილი ტურისტები სასწაულებრივად გადარჩნენ

ბრიტანელი ტურისტები კაიაკით ექსკურსიის დროს 30-ტონიანი ვეშაპის ქვეშ მოყვნენ და სასწაულებრივად გადაურჩნენ სიკვდილს.



35 წლის ტომ მუსტილი თავის მეგობარ შარლოტასთან ერთად კალიფორნიაში ვეშაპების ცხოვრების შესასწავლად ჩავიდა. ისინი კაიაკით მონტერეის ყურეში ექსკურსიაზე გაემგზავრნენ, სადაც, ჩვეულებრივ, ტურისტები ზღვის ცხოველებს ადევნებენ თვალს.

– ჩვენ ათეულობით ვეშაპს ვადევნებდით თვალს. ირგვლივ საკმაო სიმშვიდე იყო და თავს უსაფრთხოდ ვგრძნობდით, – იხსენებს მუსტილი. შემდეგ მოულოდნელად ტურისტებისგან რამდენიმე სანტიმეტრში 30-ტონიანი ვეშაპი ამოხტა წყლიდან და მათ ნავს დაეცა.

მუსტილმა სასწრაფოდ ნიჩბებს მოუსვა და შეეცადა, იმ ადგილს გასცლოდა, თუმცა უკვე გვიანი იყო. ზღვის ცხოველი მათ ზევიდან დაეცა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, დარტყმა ძირითადად კაიაკზე მოვიდა და სწორედ ამან გადაარჩინა ტურისტები.

– ვეშაპის ხუთმეტრიანი მკერდის ფარფლი მოხვდა კაიაკს. ის რომ მთელი თავისი მასით დაგვცემოდა, მაშინ ცოცხლები ნამდვილად ვერ გადავრჩებოდით, – განაცხადა მუსტილმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## პლასტიკური ქირურგიის მოყვარულს ფეხებში ქუსლების იმპლანტირება სურს



ბრიტანული რეალიტი-შოუს Big Brother-ის ვარსკვლავ სალი ექსლის სურს, რომ ფეხის ქუსლების ფორმა პლასტიკური ქირურგიის დახმარებით შეიცვალოს. ის თავისი სურვილის შესახებ ერთ-ერთ ბრიტანულ გამოცემას ესაუბრა.

ქალს იმედი ჰქონდა, რომ სპეციალური იმპლანტანტების დახმარებით უფრო მაღალი გახდებოდა. მან ცნობილ ქირურგ ტერი დუბროუს უთხრა, რომ ასეთ ოპერაციას კორეაში აკეთებენ.

– არ ვიცი, რომელ კორეაში, თუმცა ვიცი, რომ ერთ-ერთში ინტერნეტი არ არის, – დაამატა გოგონამ.

დობროუმ ექსლის განუცხადა, რომ ასეთი იმპლანტანტი არ არსებობს. გოგონას თავისი ცხოვრების განმავლობაში არაერთხელ მიუმართავს პლასტიკური ქირურგიისათვის. მან ორჯერ გაიდიდა მკერდი და სამჯერ გაიკეთა ცხვირის ფორმის კორექცია.

– რაც მეტ პლასტიკურ ოპერაციას ვიკეთებ, სოციალურ ქსელებში – უფრო მეტი მკითხველი, ხოლო დიჯეურ გამოსვლებში მეტი მაყურებელი მყავს, – განმარტავს გოგონა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. ხმის რხევა, ნარნარი; 4. ბალახოვანი მცენარე, რომლის ნორჩი ყლორტებისგან მხალი კეთდება; 7. ბედი, იღბალი; 9. ჭადრაკის ფიგურა; 12. მფრინავი; 13. ნაყოფიერების ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში; 14. გერმანელი კომპოზიტორი, პიანისტი, დირიჟორი (XIX ს.); 17. დენის ძალის საზომი ერთეული; 18. შტატი აშშ-ში; 19. ნამუსი; 20. მიცემითი ბრუნვა (გრამატ.);

**შვეულად:** 1. უბანი თბილისში; 2. ტოლგვერდა ოთხკუთხედი; 3. ბერძნული ანბანის ასო; 4. მოკლე სადღეგრძელო; 5. მსხვერპლად შესაწირავზე იტყვიან; 6. საათი, რომელიც ღილაკზე დაჭერით რეკავს; 8. დიდი ბრიტანეთის ფელდმარშალი (1887-1976 წწ.); 10. სტუდენტთა გაერთიანების წევრი გერმანიაში; 11. მეჯლისი ნიღბებითა და გამორჩეული ტანსაცმლით; 14. ძაღლი ფილმიდან „კუჩხი ბედინერი“; 15. პურის მცხობელი (ძვ.); 16. მამათა დიდი მონასტერი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

